



ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№328 (387) 11-18 აპრილი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – აჰაჰი პანიკა



ალექსანდრე ჭაჭია: რა მონღა? რა მონღება?

...დღეს ამერიკელები „კოსოვოს სქემას“ პროპაგანდას უწევენ, როგორც ყველაზე ეფექტიანს კონფლიქტების მოგვარების დროს, და საერთაშორისო პრაქტიკაში მის დანერგვას ცდილობენ... **გვ. 2**

ბორის ღავითაია: ისტორიის გაყალბების კიდევ ერთი ფაქტის შესახებ



საბედნიეროდ, დღეს მდიდარი არქეოლოგიური მასალა და ლიტერატურული წყარო გაგვაჩნია, რომლის მიხედვით შესაძლებელია ნამდვილი, ჭეშმარიტი რეალობის წარმოჩენა. და, მგონია სრულებით არ არის საჭირო ზოგიერთი თვალსაჩინო ფაქტის ხელოვნურად დაფარვა და ნაცრის გადაბნევა. **გვ. 4**



რატომ მალავს ლეონტი მროველი აზონის მეფობის ფაქტს

გვ. 7


“მუდამ ცისკენ ისწრაფვის და იმ შეუსრულებელი საქმეების გამოსატყულება, რომლის დასრულება არ აცადეს...”



თამარ ღავითაიანი: დემოტრაკია და სიცრუის კარუსელი

მისტიკის კვესიტაძე ძველ დროს და არცაა გასაკვირი; გააზნაურებულ მდაბიოს რომ წოდებას ჩამოართმევ, ისე ჩამოართვეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე ცარიელი თავის მოწონების შესაძლებლობა. **გვ. 3-7**

ხმაური არზაყან ემუხვარის გეოგრაფიული კომპოზიციის გარშემო — ინტერვიუ მოქანდაკესთან **გვ. 9**



გზის სისტემა იცვლება

გვ. 9

“ახლა უკვე ითხოვენ თანასწორობას, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, შვილების აყვანას...”
ვიშა გოგიაშვილი
ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ **გვ. 11**

ალექსანდრე ქაჭია: რა მოხდა? რა მოხდება?

**ბამოქმეხდა 2005 წლის
ოქტომბერში**

(გაგრძელება “ილორო” 326-დან)

ჩვენი პოლიტიკოსების, ადგილობრივი „ოლიგარქების“ კუთვნილი ქონებაც კი რუსეთში პროდუქციის ჩატარის სარგებე დაგროვილი. ამას წინათ რომელიმე „ტივინოსმა“ პარლამენტში განაცხადა, რომ საქართველო სხვა ბაზარს მალე იპოვის. და ეს მხოლოდ მის სისულელეს არ მოწმობს, ასეთია პარლამენტის უმრავლესობის აზრი. რუსეთზე საუბრისას არც ჩვენი მილიონი თანამემამულის დავიწყება შეიძლება, რომელიც იქ ცხოვრობენ და მუშაობენ, თანაც მხოლოდ საკუთარ თავს კი არ ირჩენენ, არამედ ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტს საქართველოში ნათესავებს და ახლობლებს უზარუნდებს. სწორედ ეს ფული უზრუნველყოფს ქვეყანაში ფულად მიმოქცევას. შეგვიძლება, თავს ამ სახელმწიფოსთან მტრობის უფლება მივცეთ? რისთვის? მითუმეტეს, რომ ურთიერთობის მოწესრიგება ძნელი სულაც არ არის. უბრალოდ, სხვის ხელში მართონების როლზე უარის თქმა და საგარეო პოლიტიკის ეროვნულ ინტერესებში განხორციელება საჭირო, იმავე ამერიკელებს შეიძლება აუხსნათ, რომ ასევე პროცენტით მხოლოდ მათი ინტერესების რეალიზება შეუძლებელია, საქართველოს საკუთარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები აქვს. მესმის, ჩვენს ხელისუფლებას ამერიკელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გაუძნელებს, მათი ცივან, როგორ ვუპოვებთ ამერიკელებს ხელისუფლებას, რომელიც მათთვის საჭირო აღარ არის. მაგრამ, ჩემი აზრით, დღევანდელი ხელმძღვანელებსაც კი შეუძლიათ, რეალიზებადი ინტერესების გარკვეულ თანაფარდობაზე მოილაპარაკონ: მაგალითად, 70 პროცენტი ამერიკული და 30 პროცენტი – ქართული. ხოლო თუ ქართველი ხალხი იგრძნობს, რომ ხელისუფლებამ მისი ინტერესების დაცვა დაიწყო, ისიც დაიცავს თავის ხელისუფლებას, თუკი ამერიკელები ასეთ კომპრომისზე არ წავლენ და აშკარად მინდელი ხელმძღვანელობის დამხობასაც მოიწადინებენ.

- ამაზე წინათ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ამერიკელები დაეხმარებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას...

- ამერიკელები კონფლიქტებს როგორ აგვარებენ, კოსოვოში გვანახვენ. მართლმადიდებელი სერბების უძველესი მიწა მოწყვეტილია და მუსლიმან აღბანელებს გადაეცა, ხოლო 300 ათასი სერბი ისტორიული სამშობლოდან გააძევეს. ამ მიწაზე მათი არსებობის ყოველგვარი კვალიც კი ისპობა. მხოლოდ ნატოს ჯარების იქ ყოფნის პერიოდში დანგრეული და გაპარცულია 140-ზე მეტი მართლმადიდებლური ეკლესია და მონასტერი. კოსოვო ხომ სერბებისთვის იგივეა, რაც ქართველებისთვის მცხეთა და მესხეთ-ჯავახეთი ერთად აღებული – ეს სერბული მართლმადიდებლური სულიერების აკანია (სხვათა შორის, საქართველომ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში მოიჭრა თავი, როდესაც შევარდნაზე სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის პირველი მესალმა ნატოს მიერ სერბების დაბომბვას; მუსლიმანური ქვეყნებიც კი დუმდნენ, მაგრამ ამ „ტექნოლოგიურ მართლმადიდებელმა ქრისტიანმა“, როგორც თვითონ უწოდებს საქუთაო თავს, ამერიკელი პატრონების წინაშე თავის გამონიშნის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა). დღეს ამერიკელები „კოსოვოს სქემას“ პროპაგანდას უწევენ, როგორც ყველაზე ფეკტიანს კონფლიქტების მოგვარების დროს, და საერთაშორისო პრაქტიკაში მის დანერგვას ცდილობენ. **„ფეკტიანობა“** კონფლიქტის ხაზზე ქვეყნის დაყოფასა და ყველა მხარის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარებაში მდგომარეობს. ასე გაყვეს მათ რამდენიმე სახელმწიფოდ იუგოსლავია, მალე ასეთივე ხვედრი მოელის ერაყსაც, სადაც ერთი საერო სახელმწიფოს ნაცვლად მსოფლიო სამ რელიგიურ-ფუნდამენტალისტურ ქვეყანას მიიღებს. სამწუხაროდ, ამ სქემის გავრცელებას არამარტო აშშ და ნატოს რიგი ქვეყნები, არამედ რუსეთის ძალიან გავლენიანი წრეებიც უწყობენ

ხელს. საქართველოსთვის ამერიკული მეთოდის განხორციელება ქვეყნის საბოლოოდ დანაწევრებას და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს. ვშიშობ, რომ ჯავახეთის სომეხთა პოლიტიკური აქტიურობაც ამერიკული „დახმარების“ მოლოდინით არის გამოწვეული. სწორედ ამიტომ ოქტომბერში მოსკოვში გამართულ ვეროპულ ფორუმზე ამ სქემის მხარდაჭერის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვედი და მას არადაძინაური, უზნეო და კონტროლირებადი ვუწოდე. სამწუხაროდ, ხმათა უმრავლესობით, კოსოვოს ვარიანტს მხარი მაინც დაუჭირეს. ეს უკვე ძალიან ცუდი სიგნალია. მაგრამ კიდევ უფრო უარესი სიგნალია ჩვენი ხელისუფლების მოწოდებები, კონფლიქტების მოგვარება ამერიკელებს და ნატოს გადავაბაროთ. ეს აღახტურებს, რომ ხელისუფლება მზად არის, განდგომილი რევიონები დაიმოს. ეს ძალიან საწყენია, რადგან სურვილის შემთხვევაში შიდა კონფლიქტების მოგვარების ყველა შესაძლებლობა გვაქვს, მაგრამ მათ შეათქმუნდნენ.

- ყველასთვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან ახლო ურთიერთობა გავქეთ, საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთთან თვისობრივად ახალი დიალოგის დასაწყებად აფხაზეთსა და რუსეთში თქვენი კავშირების გამოყენება არ უცდია?

- არასოდეს! განა მოსკოვის ქართული დიასპორის კავშირების გამოყენებას კი ცდილობს ვინმე? განა დევნილია პირადი შესაძლებლობები გამოყენებულია? განა აფხაზეთთან ურთიერთობაში სამეგრელოს რევიონის პოტენციალს იყენებენ? განა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში საქართველოს პოზიციების აღდგენა ხდება? ჩვენი პოლიტიკოსები ადიდებდნენ, აბაზინებდნენ, ყაბარდოელებთან, ჩერქეზებთან, დაღესტნელებთან პირდაპირი კონტაქტის დამყარებას უკადრისობენ, ურჩენიანთ, ამერიკელებს და ევროპელებს გაეგონ ფეხქვეშ მოწყალეების მიღების იმედად. ავიწყლებათ, რომ ჩვენ კავკასიაში ვცხოვრობთ, კავკასიელი ხალხების, ირანისა და თურქეთის გარემოცვაში. ჩემი აზრით, ამ პოლიტიკოსებმა მართლაც დაიჯერეს ნაბოლდვარი, რომ ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ, ევროპას ვჭირდებით, ზოგიერთები კი, იქნებ აშშ-ის 52-ე შეტად ქვეყანაც ოცნებობენ და სწამთ, რომ ეს შესაძლებელია. მათი განათლებით თუ ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის, ბევრ მათგანს გეოგრაფიაზე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდეს.

თვისობრივად ახალი დიალოგის შესახებ სწორად ბრძანებთ. მართლაც ასეთი დიალოგი საჭირო დღეს აფხაზეთთანაც, ოსებთანაც, რუსეთის ხელისუფლებასთანაც, დიალოგის დაწყების გაკანაურება საქართველოსთვის კატასტროფად გადაიქცევა. დრო აღარ დაგვრჩა. დარწმუნებული ვარ, რომ, მაგალითად, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად ერთ-ერთი წელი გვაქვს. თუ ვლადიმერ პუტინი 2008 წელს პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, კეთილ მეზობლებად დარჩენის შანსი მინიმუმამდე შემცირდება: ვფიქრობ, მომდევნო პრეზიდენტი სხვა ფორმაციის ადამიანი იქნება, რომლისთვისაც საქართველო მხოლოდ წერტილია გეოგრაფიულ რუკაზე.

- როგორ აფხაზეთ კონფლიქტს პრეზიდენტსა და სადღმე ზურაბიშვილს შორის? ალტაცებული ურთიერთობის შემდეგ რა არის ასეთი მწვავე კონფლიქტის მიზეზი?

- საქმე ის არის, რომ ზურაბიშვილი, როგორც საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის მოქმედი მოხელე, ბუნებრივია, პირველ რიგში, საფრანგეთის, შემდეგ კი – საერთოევროპული ინტერესების განხორციელებას ცდილობდა (ეს ნებისმიერი ჰეგემონი ადამიანისთვის თავიდანვე ცხადი იყო), ანუ ამერიკული ინტერესების რეალიზაციას სათანადო ყურადღებას არ უთმობდა. ამერიკული და ევროპული ინტერესები კი რიგ სფეროებში არამარტო ცივდებდა, არამედ უპირისპირდება კიდევ ერთმანეთს. აშშ-ის მიზანია, პოსტსაბკოთა რესპუბლიკებში ერთმნიშვნელოვნად პროამერიკული რეჟიმები ჰქონდეს, რათა მათ რუსეთსა და ევროპას შორის ბუფერის,

სანიტარული კორდონის როლი შეასრულონ. ეს მას რუსეთ-ევროპის, ამერიკელების შემთხვევაში კი – რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის ურთიერთობების კონტროლის შესაძლებლობას აძლევს. ყოველთვის მეცნიერობდა, როდესაც შევარდნაზე და მისი მემკვიდრეები ამტკიცებდნენ, რომ ევროპასთან ინტეგრაციის კურსს ატარებენ. საქართველოსთვის თავს მოხვეული საგარეოპოლიტიკური კურსი, პროპაგანდირებული ზნეობრივი, სულიერი ფასეულობები, კულტურული სტერეოტიპები – ყველაფერი წმინდა ამერიკულია და ტრადიციულ ევროპასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

გარდა ამისა, თავად ზურაბიშვილის დანიშვნის ფაქტი ჩვენი პოლიტიკური ელიტის ღრმა პროვინციალიზმზე მეტყველებს. თავისი როლი იტამაშა არასრულფასოვნების კომპლექსი: დიპლომატი, რომელიც საფრანგეთში მუშაობდა, თანაც ევროპული ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რა თქმა უნდა, საქართველოში შესანიშნავი მინისტრი იქნება! მაშინ ვამბობდი, რომ ზურაბიშვილი შეიძლება ნორმალური მინისტრი ყოფილიყო რომელიმე პატარა ევროპულ ქვეყანაში, რომელსაც ერთი მიზანი აქვს – მეზობელ ქვეყნებთან ჩამოყალიბებული, მოწესრიგებული ურთიერთობა შეინარჩუნოს. საქართველოს კი თვისობრივად სხვაგვარი მუშაობა სჭირდება! ის საერთაშორისო პოლიტიკაში შედარებით დამოუკიდებელ სუბიექტად უნდა დამკვიდრდეს და, რაც მთავარია, საჭიროა გარდგევა რუსეთის ფედერაციასთან და მსს-ის წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობაში. ეს საქართველოსთვის ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რისი გაკეთება შეუძლია ამ მიმართულებით ზურაბიშვილს?

პრინციპში, ამჟამინდელი პირობებში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება საგარეო საქმეთა მინისტრი. საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს არა მინისტრი, არამედ პრეზიდენტი. ამ პოსტზე, უბრალოდ, პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირია საჭირო, რომელიც მზად არის, კეთილსინდისიერად შეასრულოს ფოსტადიონის როლი. ჩვენი პრობლემა მინისტრის პიროვნებაში კი არა, იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო პოლიტიკაში განუხრეველად გრძელდება შევარდნის კურსი.

ეს ამერიკელთა სავალდებულო პირობა იყო, როდესაც ისინი ქვეყანაში ხელისუფლებას ცვლიდნენ და ამიტომ ამაში გასაკვირი არაფერია.

- ინტელაფენტის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რეფორმა. რამდენად საფუძვლიანია მეცნიერთა შიში ქართული მეცნიერების მომავალთან დაკავშირებით?

- რეფორმა, რომელიც ახლა ტარდება, ერის სამეცნიერო პოტენციალის სრულდევარადიას, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და გამოყენების სისტემის განადგურებას გამოიწვევს და „განათლების რეფორმისთან“ ერთად საქართველოს მომავალში ალრძინების ყოველგვარ პერსპექტივას მოუსპობს. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სისტემის განადგურება დღეს არ დაწყებულა. ეს პროცესი შევარდნის ხელმძღვანელობით და იმ უუნქციის ჩარევებით დაიწყო, რომელიც მან საქართველოსთვის განსაზღვრა – სატრანსპორტო დერეფანი. „დერეფნის“ მოსახლეობას მეცნიერება და განათლება არ სჭირდება, მისი დანიშნულება მომსახურე პერსონალად ყოფნა.

თუ გახსოვთ, 1996-1999 წლებში მთელი რიგი სტატიები გამოვაქვეყნე ამასთან დაკავშირებით და ქართველ ინტელიგენციას, მწერალთა კავშირს, მეცნიერებათა აკადემიას მოუწოდებდი, დაეგმთ შევარდნის ანტიეროვნული პოლიტიკა, მოეთხოვათ მისთვის ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ერის მომავლის დაცვა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა და მის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. მე ვაფრთხილებდი, რომ მალე ჩვენი მწერლების წიგნებს მკითხველი აღარ ეყოლება, ვეღარავინ

ასწავლის მეცნიერულ დისციპლინებს და ვეღარსად გაკეთდება სამეცნიერო აღმონებები. მაგრამ ქართველი აკადემიკოსები პასუხად დუმდნენ, ზოგი მწერალი მღანძღავდა, და ყველა ერთად უკრავდა ტაშს თავიანთი ეპოქის – შევარდნის ნებისმიერ მორიგ ტყუილს. ძალიან მინდა, ვიფიქრო, რომ ჩვენი აკადემიკოსების დღევანდელი აღმფოთება განპირობებულია არა იმით, რომ მათ ხელფასებს, გრანტებს, სახელმწიფო კმაყოფას ართმევენ, არამედ – გამოდევინებთ, იმის მკაფიოდ შეცნობით, რომ გზა, რომლითაც საქართველო 15 წელია მიდის, ერისათვის დამღუპველია. მეცნიერების განვითარება ქართული სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს, ეს ერთადერთი შანსია საქართველოსთვის, რომ თანამედროვე მსოფლიოში მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი ქვეყანა გახდეს. სხვა პოტენციალი, უბრალოდ, არ გავაჩნია.

- თქვენი აზრით, როგორი იქნება ახლანდელი ხელისუფლების ბედი და რა მოგველის მომავალში?

- სიტუაციის განვითარების ორი შესაძლო გზა არსებობს. პირველი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის სერიოზულად შეცვლა, საკადრო პოლიტიკის კარდინალურად გადახედვას, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასთან თვისობრივად ახალ მიდგომას გულისხმობს. ზომების კომპლექსი, რომელთა განხორციელება აუცილებელია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ერის ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის აღორძინებისათვის, რამდენიმე წლის წინ ჩამოვყალიბე და არაერთხელ გამოვაქვეყნე. სამწუხაროდ, მას შემდეგ საქართველოში ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც სახელმწიფოს განვითარებას და საზოგადოების არსებობას განაპირობებს, სიტუაცია კვლავაც არ შეცვლილა. ყველა ეს ზომა უბრალოდ აქტიუალური რჩება. თუ პრეზიდენტი მათ განხორციელებას გაბედავს, ანუ შევარდნისიუსული დამღუპველი პოლიტიკის გაგრძელებაზე უარს იტყვის, მისი მმართველობა საქართველოს უახლეს ისტორიაში მართლაც გარდამტეხი იქნება.

მოვლენათა განვითარების მეორე ვარიანტი დღევანდელი პოლიტიკის გაგრძელებას გულისხმობს, რაც უცილობლად მიგვიყვანს სოციალური დაძაბულობის ზრდასთან, უპერსპექტივო ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ქართული საზოგადოების რღვევასა და სოციალურ დაპირისპირებასთან. გარდა ამისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება „კოსოვოს სქემით“. ასეთი პირობებში ხელისუფლებით უკმაყოფილებამ შეიძლება რადიკალური ფორმები მიიღოს. სოციალური აფეთქებისა და ხელისუფლებაში არაკონტროლირებადი ძალების მოხვედის თავიდან ასაცილებლად ჩვენი ამერიკელი ხელმძღვანელები სააკაშვილის გადაწყვეტის და სახელისუფლებო გუნდის შეცვლის გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში უკვე მომზადებულია რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც ოპოზიციის როლს ასრულებენ და მთლიანად ამერიკელთა კონტროლს ექვემდებარებიან.

ასეთი ოპოზიცია ამერიკელებმა პარლამენტშიც „დანიშნეს“ და მის გარეთაც. მისი რიგები ჩვენ თვალწინ ივსება: მმართველ პარტიას ახალ-ახალი ჯგუფები წყდებიან. მეორდება შევარდნის წინააღმდეგ ამერიკელთა მიერ განხორციელებული სქემა: როდესაც „რადიკალურ ოპოზიციად“ თავი მისი აღზრდილებს ჯგუფმა გამოაცხადა. ახალი კონტროლირებადი სახელმწიფო გადატრიალება ხელისუფლებაში ამ ჯგუფთაგან ერთ-ერთს მიიყვანს, რომელიც წარმატებით გაატარებს იმავე პოლიტიკას. 1,5-2 წელი ხალხი ახალი მოლოდინით იცხოვრებს. მერე ისევე გადატრიალება შემდეგი ჯგუფის სასარგებლოდ, რომელიც ამერიკის საელჩოსთან რიგში დგას. ხელისუფლების ცვლის ასეთი სქემა, რომელიც სახელმწიფოზე სრულ კონტროლს უზრუნველყოფს, ამერიკელებმა 60-70-იან წლებში ე.წ. „ბანანის რესპუბლიკებში“ ხუტად დაამუშავეს.



დემოკრატია და სიცრუის პარუსელი

საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ძლიერ...

კვესიტაძის "განსხვავებული" არც ერთ...

მისტიკის კვესიტაძე იმ დროს და არცაა...

აი, ამ პროპაგანდას მიუძღვნა კვესიტაძის...

ტყუილის კიდევ ერთ მაგალითად კვესი...

თავს გვახვევენ დამახინჯებულ ინფორმაციებს...

ბოლოში და, გაუკუღმართებულ სქესობრივ...

კვესიტაძის ვერსიითა და მისი განსხვავებული...

ეს, საზოგადოდ, მათი სტილია - ტყუილში...

კვესიტაძე ტრადიციულ ანტიდასავლურ...

ორგანიზაცია, რომელიც მათ მიერვე "პრორუსულად"...

ვებგვერდზე იქნება განხილული ამ აგრესიის...

ახლა თუ ვინმეს სჯერა, რომ მიშას ეს ნარჩენები...

ნატო აშშ-ში - "ანგარიში" ერთ-ერთი...

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც...

მედის განვითარების ფონდის ანგარიშის...

და სტუმრები ეთერს ანტიდასავლური განწყობების...

ბოლოში და, გამოხატვის თავისუფლება აღარ არსებობს?

მათთან იდეოლოგიურად ახლოს მდგომი და ამას წინათ...

გამოხატვის თავისუფლების ეს უკვე ანბანურ ჭეშმარიტებად...

ვისი, ქალბატონო დემოკრატო, ვისი გამოხატვის უფლებად...

ზემოთ ნახსენები თამარ კინწურაშვილი თავის ექსპონატში...

აბა, გამოხატვის თავისუფლებას? და ისე, უბრალოდ...

კვესიტაძე "დანაშაულებრივ სქემას" შიფრავს...

რომელიც დაიღწა ანტიდასავლური იდეების და ცდილობენ...

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

ისტორიის გაყალბების კიდევ ერთი ფაქტის შესახებ



თავმოყვარეობითა და ღირსებით ნა-საზღვრები. ეს იყო წინაპართა ფესვებიდან ამოყრდილ მარადი სურვილის ერთაშესხმა. მას უწყოდა, რომ ეს რისკის შემცველი ქმედება იყო. მიუხედავად ამისა უკუ არ დგა. ქვეყნის თავისუფლება მოითხოვდა მსხვერპლის გადადგმა. მან გადააყენა პიროვნული ამბიციები, შეიკეცა ძალაუფლება და ერის დამოუკიდებლობის იდეას შესწირა მეფური ინსიგნიები.

ეს სახელმწიფოებრივად აზროვნებაა. ამ იდეას ასაზღვრებდა თავისუფლების იდეალუმი. ეცადა არტახედი შვესნა მრავალწლიანი შეზღუდვისათვის, რომელსაც ერის სულის შემკრელი ტკივილი ახლდა თან. საკუთარი ოპტიმიზმითა და ნათელი დღის მოლოდინით სძლია ყოველგვარ განცდებს, რომლის მიღმა სამშობლოს მარად ნანატრი ტაძარი იდგა.

სამყარო დიდია. გუბაზმა საკუთარი სიცოცხლე და ფიზიკური შესაძლებლობები მთლიანად მიუძღვნა უძველესი კოლხეთის მემკვიდრეს, საუკუნეთა ქართველ-გამოვლილ სამშობლოს – ვერისის, მითა-აჰმედიან შემონახულ, უნიკალური მეგრული კულტურის, წეს-წყველებებისა და ენისადმი პატივისცემას.

ეს მოულოდნელი არ იყო მაშინდელი დიდებულთათვის, რადგანაც თანადგომა გამოუცხადეს საკუთარ გაბეჯულ მეფეს. გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიისთვის.

ბიზანტიამ უმაღლე „მუშტის“ მოღერებით უპასუხა. გუბაზი წინასწარ და საგანგებოდ ემზადებოდა დარტყმის მოსაგერიებლად. მან „ჯეჯილოვანთ ველზე“ სასტიკად დაამარცხა მომხდურნი. სპეციალურად მოწყობილ ხრამ-ორმოებში, სადაც პირადმა ისრები იყო ჩასობილი, და ზემოთ ჯეჯილი ბიბინებდა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით „დასამარა“ ბიზანტიის ლეგიონი. ეს მოულოდნელი, სტრატეგიული ხერხი გამოუცნობი შეიქნა სწორუპოვარი რომაელთა სტრატეგოსებისათვის.

გუბაზმა გამარჯვების გვირგვინით შეამკო ღიათა სიდიერე. ეს იყო იგივე „მარაბდა“, იგივე „შამქორი“ და „ბასიანი“. აქ გამოვლინდა გუბაზის, როგორც ნიჭიერი მხედართმთავრისა და სტრატეგის შესაძლებლობები. საბრძოლო აზროვნების იმდროისათვის განსხვავებული მეთოდის გამოყენების უნარი. მან ძლევა მოსილი იმპერიის სამხედრო ძლიერება „წელში“ გაიტაცა.

სხანს, გუბაზი თავად ეძებდა ბარიერებს, წინააღმდეგობებს. ეს წინააღმდეგობა აძლევს ძალას, ენერჯიას, იმუხტებოდა არა შურისძიებით, არამედ კოლხთა შესაძლებლობების დემონსტრირებით. ეს გახლდათ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, რომელსაც სიცოცხლისა და დღესასწაულის ზემო მოყვება. ღირსეულ სიცოცხლეს კი ღირსეული დასასრულით ალამაზებს.

გუბაზი ცდილობს ცეცხლსა და გრიგალს გამოვლინოს სამშობლო. თვალი კი არ გააყოლოს ვერისის თავზე გადაბრუნებულ შავ ღრუბელს, პირიქით, გულში არ იტოვებს სევდას, რომელიც ერის სულიერ ხვაშიადს წარმოადგენს, ათასწლეობით, რომ უწევდა სულს და აშფოთებდა...

ბიზანტიის იძულებული ხდება დესპანთ მიაველინოს პართიკლებთან დასახმარებლად. იგივეს მოიმოქმედებს გუბაზი. მაშინ პართია ჰყვებდა და კივარტებთანა ომშია ჩაბმული. დაკავებულია, არ ცვალია დახმარება გაუწიოს სხვა რომელიმე მხარეს. კვლავ ერთმანეთის პირისპირ რჩებიან იმპერატორი მაკრიანე და გუბაზი. დაიწება დიპლომატიური „ომი“. გამარჯვებული მეფე შემხვედრ ნაბიჯს პირველი არ დგამს. ის უტყვია, ის ამაყია. ზუსტად გერმონოს დროის სუნთქვას. საერთაშორისო მოვლენებს უსადაგებს საკუთარი მოქმედების სტრატეგიას (ამგვარი თვისებები აღმოჩნდა დავით აღმაშენებელს) იგი მუდმივ მიებაშია, ზევრავს, აფასებს მდგომარეობას. თვალს გადაავლებს წარსულს და სადაც ჭკრეტს მომავალს. იგი თავისი დროის ისტორიულ მოვლენების აქტიური მოთამაშე ხდება.

ჩასაფრებულია. ლოდინით უხანგრძლივებს ქვეყანას დამოუკიდებლობის სანუკვარ წლებს. იმპერატორი იძულებული ხდება

ვერისს მიაველინოს დესპანი, მისი უახლოესი მეგობარი, ეპიტროპი-ეპოსმოდვარი, გამოცდილი დიპლომატი ეფვიპიოსი, რომლის მეშვეობით შემოთვალის, რომ „წინაპართა წესი არ არის თანამეფედ ძე დაისვა. ან თეთონ გადადექი ან შვილი გადააყენე და ეწვიე კონსტანტინეპოლს“.

გუბაზი ფორმალურად თითქოს თანახმაა მიიღოს მიწვევა, მაგრამ ეს უაღრესად საღი გონების დიპლომატი წარმატებით „თამაშობს“. ახერხებს შეპირდეს, მაგრამ არ წავიდეს იმპერატორთან შეხვედრაზე. ფახისის აკადემიაში განსწავლული გუბაზი სტუმარს ჩაახედებს სამშობლოს იდეალს სიყვარულში, მშობლიური მიწის სურნელს სხვაგვარად შეგარძობინებს. მიახვედრებს, რომ რაც მოხდა მისი ქვეყნის ბედია, გარდაუვალია. შეუძლებელია იმის უარყოფა რაც რეალობაა, სიცხადეა? იგი რომანტიკულად მოაზროვნე მეფეა.

საქართველოს ისტორიამ იცის მე-2 საუკუნის მოღვაწე, იბერიის მეფე ფარსმან მეორის შესახებ – „სიკეთისა და ვაჟაკობისთვის ქველად წოდებული“ ის პოლიტიკური მოსაზრებით არ გამოცხადდა რომის იმპერატორ ადრიანეს. მაგრამ შემდეგ მიიღებს მომღვენო იმპერატორის, ანტონინუსის მიწვევას და ჩავა რომში, სადაც დიდი პატივით უმასპინძლებენ.

ფარსმანის ქმედებანი საქართველოს ისტორიის ყველა გამოცემაშია სასურველ ფაქტად აღიარებული. ყველა სასკოლო სახელმძღვანელოშია დაფიქსირებული და საგანგებოდ ასწავლიან თაობებს (ასევე

შემდეგ, ანუ რვა წლის გასვლის შემდეგ – მხოლოდ 465 წელს. თავად ჩადის წინასწარ მოფიქრებული ვერისით და უარს აცხადებს მეფობაზე. არ ჩაჰყავს შვილი. და რადგანაც არ ჩაჰყავს, ბიზანტია ვერ გადასცემს მას სამეფო გვირგვინსა და დადგენილ ასინების. ამით გუბაზი აღწევს ხანგრძლივად შეინარუნოს ქვეყნის დამოუკიდებლობა. ბიზანტიის თვალში ის კი გადადგა, მაგრამ შვილთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა ქვეყანას. ბიზანტიისაგან ბოძებულ გვირგვინს არც თითონ ატარებს და არც მის ძე. ეს სრული გამარჯვებაა.

ეს მოვლენაც გახლავთ განსაკუთრებული და სამაგალითო საქართველოს ისტორიაში. მაგალითად, გიორგი მე-2 გადადგა დავითის სასარგებლოდ, თუმცა გიორგი უძალო, უფლებწარმემული მეფე იყო. გუბაზ პირველი კი თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა.

ამგვარი თავდადება და გონებამხვილური ქმედებები ვერისის მეფის, ცოტნე დადიანისა და გიორგი სააკაძის გმირობაზე არაანაკლებია. იქნებ მეტიც. გუბაზი მისი მრავალტანჯული ქვეყნის წარსულისა და სუბტენიურ მომავალზე მოფიქრალი ადამიანია.

მისი ბრძოლა ჭეშმარიტი გამოხატულება თავდადებული, გონიერი და უხადო დიპლომატიისა. ეს გახლავთ ერის ტკივილის სადად გათავისებისა და ზოგადსაკაცობრიო მასშტაბამდე აყვანის ნათელი მაგალითი (ნებისმიერი ერის ოცნებაა თავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპო-

ვება). ამით გუბაზმა მოახერხა ერთგული სულის გასწავლვა და ვერისელთა სურვილის ცად აზიდვა. პირადულზე მაღლა დააყენა ქვეყნის ინტერესები. ჯერ უფლებები „შეიკეცა“ და შემდეგ მეფობა „დასთმო“. ამით შეიმუშავეს ტვირთისაგან არ ზურგი, არამედ სული... ბრძოლაში არ დადღლიდა, მუხლი არ მოჰკვეთია, მკლავი არ ჩამოვარდნიდა, იგი დარჩა საკუთარი ერის თავისუფლების სიმბოლოდ.

მან იცის ვერ ჩაუქრობს ვერისელებს თავისუფლებისათვის ანთებულ კვარს. ამიტომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავს სანუკვარ ოცნებას. რომელიც ამავდროულად თანამემამულეთა ოცნებაცაა.

ცალკე განხილვის საგანია გუბაზ პირველისა და მისი შთამომავლების მოღვაწეობის თარიღების დადგენის რეალობა. ჯერ ერთი სხვადასხვა წყაროში, ვთქვათ საქართველოს ისტორიის ნარკვევაში (რედ. შოთა მესხია – 1973წ.) საერთოდ მითითებულიც არ არის გუბაზ-1 მეფობის თარიღები. ამაზე არც არავფორმა თქვენი საქართველოს ისტორიის ბოლო ოთხტომეულში. გარკვეული მოსაზრებაა გამოთქმული ლ. სანიკიძის „უქარტაშო სმლეში“ და იქაც შეცდომაა დაშვებული...

ამ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას მკითხველს დამატებით მივაწვდი.

ბორის ღაჭიათაია,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, სენაკი

პირველი არა ვარ და სამეფაროდ არ უკანასკნელი ვიქნები, როგორც ახსნადას, რომ საქართველოს, ამ ბეჯაკული ხალხის ისტორიას ვაი მკვლავარავი და უმეხარი პროფისორ-აკადემიკოსები შეგნებულად, რომ აყალბებენ. ან ერთხელ მიზანმიმართულად გაყალბებულს, ყოველგვარი დამატებითი კვლევისა და არგუმენტების მოძიების გარეშე გადმოწერენ და ასე გრძელდება დიდი ხანია.

საზქმთა პერიოდში და შემდეგაც გამოცემულ ისტორიულ კრებულებსა თუ ნარკვევებში, რბილად, რომ ვთქვათ, გაუფერულებულია კოლხეთის, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის აკენისა და შემდგომში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს, ვერისის მოსახლეობის, მის მეფეთა დამსახურება და დვაწლი.

საზქმთა პერიოდში და შემდეგაც გამოცემული ისტორიულ კრებულებსა თუ ნარკვევებში, რბილად, რომ ვთქვათ, გაუფერულებულია კოლხეთის, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის აკენისა და შემდგომში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს, ვერისის მოსახლეობის, მის მეფეთა დამსახურება და დვაწლი.

უნდა იყოს). გუბაზ პირველმა ფარნავაზზე მეტი შესძლო, ხასტივი ომი მოუვი ბიზანტიას, დაასამარა მისი სამხედრო ძლიერება, მაგრამ ერთი სიტყვის ღირსადაც არ ხდია.

ბედისწერა ისე მოაწყო, რომ 458 წელს მარკიანე მიიცვლება. მის ადგილს იკავებს იმპერატორი ლეონ პირველი. ეს მოვლენა გუბაზს აძლევს ხელს, კვლავ დიდი ხნით შეინარუნოს დამოუკიდებლობა.

ახალი იმპერატორი იძულებულია მორიგი ელჩობა გაავაზავნოს ღაჭიას. გუბაზი ამჯერადაც ახერხებს დროის გაყვანას. შესაშურია მისი შინაგანი უტყუობა და პრინციპულობა, დიპლომატიური არსენალის მრავალფეროვნება. აცხადებს, რომ მას და მის ძეს შეიძლება კონსტანტინეპოლში საშიშროება დაემუქროთ, ამიტომ ფეხს იორვს. დესპანი თითქოს მოახერხებს გუბაზის დარწმუნებას, რომ მას არავითარი ხიფათი არ ემუქრება, თუმცა ეს წინააღმდეგობა და ეტყვები გუბაზის „თამაშია“. ემსახურება ქვეყნის თავისუფლების დაცვის გახანგრძლივებას. ის არ გავს ზღვის მოქვევას, როდესაც აქორილი ტალღა ნაპირს გალოკავს, შემოერის ნაყარს და უკან გარბის. იგი მიზნის მიღწევაში კარგი „მთამაშეა“, დროს წელავს... ამ ხნის განმავლობაში ფიქრობს, როგორ მოახერხოს სანუკვარი ოცნების ბოლომდე მიყვანა და მიაგნებს კიდევ გამოსავალს.

პრისკე პანიონელის ცნობით გუბაზი ჩადის კონსტანტინეპოლში დიდი ხანძრის



რატომ მალავს ლეონტი მროველი აზონის მეფობის ფაქტს



“ილუსტრირებული ისტორიის” 24-ტომეულმა უკვე მოიცვა რამდენიმე საინ-

ტერესო ეპოქა, მეფე თუ მოვლენა. ამჯერად ქართველებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეფის, ფარნავაზის ჯერი დადგა. მორიგი, მე-8 ტომი, რომელიც ტრადიციულად გაზეთ “კვირის პალიტრასთან” ერთად გამოვიდა და მალევე გაიყიდა, სწორედ ფარნავაზ მეფის ეპოქას ასახავს. იხილეთ ამონარიდი წიგნიდან:

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელი ბერძენი იყო. ლეონტი მროველი წერს: “გამოჩნდა საბერძნეთში ალექსანდრე, ძე ნიკიტანების მეფე პტელისა. ქვეყანაში, რომელსაც ქვია მაკედონი”. ამგვარად, აზონი ბერძენთა მიერ ხელდასმული მეფე გამოდის. XI საუკუნეში, როცა იწერებოდა “მეფეთა ცხოვრება”, ქართლის სახელმწიფოს ყველაზე დიდ მტერს სწორედ საბერძნეთი-ბიზანტია წარმოადგენდა. ამიტომაც, ლეონტი მროველმა, ქართლის მეფეთა ისტორია ფარნავაზით დაიწყო, რომელიც ბერძენთა ხელშეწყობით გამეფებულ აზონს ებრძოდა.

რას მალავს ლეონტი მროველი? კარგად თუ ჩაუვლამდებოდა, არც ისე დიდ განსხვავებას აღმოვაჩინეთ “მოქცევაი ქართლისაის” და “მეფეთა ცხოვრების” მონათხრობ-

თა შორის. “მოქცევაი ქართლისაი” ქართლის პირველ მეფედ პირდაპირ ასახელებს აზონს (აზონს), ლეონტი მროველი ამ რეალბას არაპირდაპირ აღიარებს – აზონის ხელისუფლებამ მოიცვა “საზღ-



ვარნი ქართლისანი, ჰერეთიდგან და ბერდუჯის მდინართგან, ვიდრე ზღვამდე სპერისა და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი”, ანუ მემატიანე ცნობს ერთიან ძლიერ სახელმწიფოს, რომლის ცენტრი მცხეთაა. მისი განცხადება, რომ “ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლში, ქართლოსისა ნათესავთაგანი” მიუთითებს იმაზე, რომ

მან იცის ფარნავაზამდე სხვა ქართლის მეფის არსებობა. ამიტომაც სჭირდება იმის აღნიშვნა, რომ ფარნავაზი იყო ქართლის პირველი მეფე, ქართლოსიანთა დინასტიიდან. აზონი ქართლოსიანი არ იყო, ის “არიან ქართლის” მეფის ძეა, ანუ სხვა საგვარეულოს ეკუთვნის. ამდენად, ქართლის პირველ მეფედ აზონს უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ფარნავაზს, იგი იყო ქართლის პირველი მეფე ქართლოსიანთა



დინასტიიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანთა სამეფო სახლს.

დემოკრატიკა და სიცრუის პარუსელი

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან) არა, როგორი ინტელექტუალური პროდუქტია? ახლა შეცვალეთ აქ სიტყვა “რუსული” სიტყვით “ამერიკული”, სიტყვა “ანტიდასავლური” – “პროდასავლური” და მიიღებთ იმას, რასაც ეს “უფლებადამცველები” და “მედიაშედეგები” სწავლიდნენ 20 წლის განმავლობაში საქართველოში!

მაშ ასე: “დასავლური პროპაგანდა ოთხი ძირითადი საშუალებით ვრცელდება. პირველი არის მედია, რომელიც აუდიტორიას მიკვთავს პროდასავლური გზავნილებით კვებას. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ტყუილსა და გამოგონილ ფაქტებს ეფუძნება; მეორე – არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დიად თუ ფარულად ეწევიან დასავლური იდეების ტირაჟირებას. ამისათვის კი სხვადასხვა ხერხს მიმართავენ: ატარებენ კონფერენციებს, სემინარებს, ხსნიან ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს, ქართველი ჟურნალისტებისთვის აწყობენ პრესტურებს დასავლეთში. ორგანიზებენ უწყვეტ პროდასავლურ აქციებს; მესამე – სასულიერო პირების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დიად ქადაგებენ პროდასავლურ იდეებს და ცდილობენ, მრევლი დაარწმუნონ, რომ ყველაფერი ცუდი მართლმადიდებლობიდან მოდის; და მეოთხე – პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები, რომლებიც რეგულარულად სტუმრობენ აშშ-სა და ევროკავშირს”.

ახე არ არის? ახე არ იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში? ჩემი შენ გითხარო, არა?

თავისუფალი სიტყვის ეს “დამცველები” ხელისუფლებას ბრალს სდებენ “პრორუსული” მედიის დაფინანსებაში. ახლა მოვშადათ და შევადარეთ ეს ციფრები მათ დაფინანსებას: კვსიტაძე წარბეშვიძე და აცხადებს: 2013-2014 წლებში “ობიექტივს” ბიუჯეტიდან მიუღია 52 ათას 167 ლარი, “საქართველოს რესპუბლიკას” – 63 ათას 923 ლარი, “ალიასა” და “კვირის ქრონიკას” – 48 ათას 650 ლარი, “ასავალდასავალს” – 1200 ლარი, “ეტალონმედიას” – 68 ათას 616 ლარი.

სიტყვილია ეს, მაგრამ კვსიტაძეს ამაზე გაცილებით მეტის არ შეერცხვინა და 1200 ლარით “წახალისება” რაღა ბედუნა?! ჩვენს საწყალ გაზეთს არც ეს ათასობის ლარი მიუღია, მაგრამ კვსიტაძე მაინც მრისხანედ სვამს ბიუჯეტს: “რატომ აფინანსებს გადასახადის გადამხდელთა ფულით ხელისუფლება მედიაორგანიზაციებს, რომელთაც მიკვთავს გამოხატული ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკა აქვთ?” კაა, ერთხელ მაინც გეკითხა, რატომ იხდიდა, მაგალითად, გიგი უგულავა მისი თანამეცხედრის თემოების შეერმონტებაში “გადასახადის გადამხდელთა ფულს”; მარიამ საჯიას სამკაულებზე და მიშას მასაჟის-

ტებზეც გეკითხა და მერე თანხებიც შეგედარებინა!

თუმცა ფუჭია ეს შეკითხვები, მათზე პასუხი კვსიტაძეს არა აქვს. სამაგიეროდ, “პროფესიონალიზმი” ისე ახრჩობს, რომ პრორუსულობაში ყოფილი პრემიერის ბრალს ასე თოფრავს: მან ევრაზიულ კავშირზე თქვა, რომ ვაკეირდებოდა, თუ ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება, ვიფიქრებთ! სომხეთში ვიზიტისას ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამების კრიტიკას კვსიტაძემ უაპელოციოდ დააყოლა: “დღეს სომხეთი ევრაზიული კავშირის წევრია!” ძალად ჟურნალისტი, რომელიც ევრაზიულ კავშირს ვერ არჩევს საბაჟო კავშირისგან, მედიისა და არასამთავრობო სექტორის ჭკუის დამრიგებლად რომ ეყოლება, მართლაც ხელიდან არის წასული “ნაცემობის” საქმე!

გადაცემის ბოლოს კვსიტაძეს მოუწია იმის აღიარება, რომ ეს ორგანიზაციები კანონს არ არღვევენ და მათი დახურვა არ შეუძლიათ, სამაგიეროდ მათ ისღა დარჩენიათ, “მამხილებლის” ფუნქცია შეითავსონ და ამაში გრანტები კიდევ დაითრონ: “ის, რაც ჩვენ დამოუკიდებლად შეგვიძლია, არის იმ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოაშკარავება, რომლებიც პატრიოტიზმსა და მართლმადიდებლობას ამოფარებულნი, მიზანმიმართულად აგრძელებენ ოკუპანტი სახელმწიფოს სიცრუეზე დაფუძნებულ იდეოლოგიას. რასაკვირველია, დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთ ორგანიზაციებს არსებობის უფლება აქვთ, მაგრამ ამავე დროს საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, თუ ვინ არიან ისინი და ვის ინტერესებს ემსახურებიან”.

აწი თქვენ რას გაარკვევთ და ვის ამხელთ, თქვენი სატკივარია, მაგრამ თვითონ თქვენ უკვე გაშიფრული ხართ და საქართველოში უკვე პატარა ბავშვმაც კი იცის, ვინ ხართ და ვის ინტერესებს ემსახურებით! ისე გრანტის სიდიდეს გააჩნია, თორემ ხვალ ოფიციალურმა სოსუმმა რომ გადმოგვადოთ რამდენიმე მილიონი, მათ დამოუკიდებლობასაც სცნობთ და ყველაფერზე ხელსაც აწევთ. მაშინ არც რუსული პროპაგანდა შეგაწუხებთ და არც ფულის წყარო! – ასე ხართ გამოზრდილები და ახლა ვინც გამოგზარდათ, ასინეთასავით რომ არის მოყურადებული, იმის გასაგონად ვამბობ: ჩაგეყარათ წყალში მილიონები, რომელიც საქართველოში ხარჯთ ბოლო 20 წლის განმავლობაში; რამდენიმე უფულო არასამთავრობო და გაზეთმა “გადაგიჯოგრეს” და, თუ დღეს დასავლეთის მიმართ განწყობა უარესდება, ისევ მაგ თქვენ გამოზრდილ ვირთხებს მოკითხეთ, თუ არა და, ისევ ჩაყარეთ მილიონები “რუსული პროპაგანდის” წინააღმდეგ და შედეგსაც კიდევ 20 წელი დაელოდეთ!

თამარ ღვინთაშვილიანი

საქართველო და აზერბაიჯანი – კაღრების სამჭედლო „ისლამური სახელმწიფოსათვის“

„საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთი და იგივე საშიშროების წინაშეა – განაცხადა პოლიტოლოგმა ივან ლიზანმა, და ეს საშიშროება ისლამური სახელმწიფოა“.

გარდა ამისა აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი ბოვეიკების მთავარი მიმწოდებელია ისლამური სახელმწიფოსათვის. ასობით აზერბაიჯანელი და ათობით საქართველოში მცხოვრები მუსულმანი შეუერთდა ისლამური სახელმწიფოს ძალოვანებს სირიაში და იბრდება რეალური საშიშროება იმისა, რომ ბრძოლებში გამოწოთბილი ბოვეიკები, მათთვის შესაფერის დროს, აზერბაიჯანის და საქართველოს მთავრობების წინააღმდეგ წამოვიდნენ.

სირიაში მებრძოლი ცნობილი აზერბაიჯანელი ბოვეიკების თავიანთი ხატბა ალ-აზერი უკვე სიტყვიერად დაუპირისპირდა აზერბაიჯანის ხელისუფლებას და სეკულარიზმსა და კორუფციაში ამხილა. ცოტა ხნით ადრე აზერბაიჯანის მედია იუწყებოდა ისლამური სახელმწიფოს მხარეზე სირიაში მებრძოლო პროფესიონალი ბოვეიკის რაშად ბახშალიევის სიკვდილის თაობაზე.

რაც შეეხება საქართველოს, რამდენიმე დღის წინ პანკისში სირიაში დაღუპული 23 წლის ქისტ ბოვეიკი თურფადა ბორჩალაშვილი დაიტირეს, რომელიც სირიის ქალაქ ქობანთან მიმდინარე გაავთრებულ ბრძოლებში დაიღუპა. საქართველოსა და აზერბაიჯანში არის რაიონები საიდანაც ახალგაზრდები, ისლამური სახელმწიფოში, ჩვენთან მომქმედი კანონის გვერდის ავლით გარბიან. საქართველოში ეს რაიონია პანკისის ხეობა (ზოგჯერ – აჭარაშიც), აზერბაიჯანში – ავარებისა და ლეკების დასახლება ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში.

არც თუ უმიზეზოდ ითვლება ჯერ კიდევ პანკისის ხეობა იმ საფრთხისმომცველ ზონად, სადაც ბოლომდე არ ხერხდება ჯეროვანი წესრიგის დამყარება. ჩვენთვის ცნობილი ომის დროს საქართველოსა და აზერბაიჯანის ეს რაიონები ზურგს უმაგრებდა ჩვენ ბოვეიკებს. სწორედ პანკისის ხეობაში იმაღუბოდნენ: ჩვენნი საველე მეთაური რუსლან გელაევი და 1999 წლის მოსკოვის ტერაქტის სამი მთავარი ეჭვმიტანილი. აზერბაიჯანი კი წარმოადგენდა ფინანსებისა და იარაღის გარდამავალ ბაზას აჯანყებული ჩვენნი ბოვეიკებისათვის. აგრეთვე აზერბაიჯანში განთავსებული იყო საგანგებო სამხედრო ბაზები ბოვეიკების

მოსამზადებლად და დაჭრილების სამკურნალოდ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დეპრესიული რეგიონები ისლამური სახელმწიფოს აშკარა მხარდამჭერები არიან და გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო მათი მკაცრად გაკონტროლება ვერ ხერხდება.

„აქ ცხოვრება უაზრობაა, ახალგაზრდებს მხოლოდ ერთი საქმე აქვთ – დღედაღამ სოფლის ბირთაზე ისხდნენ, კარტი და ნარდი ითამაშონ, დროდადრო ჩახანები მიინახულონ და უაზრო ლაპარაკი მოისმინონ – ყველა ექსპერტი – სამწუხაროდ, ქვეყანაში ძალიან ბევრი გაუნათლებელი ახალგაზრდაა, რომლებიც იოლად ეგებებიან ისლამური სახელმწიფოს მომხრეთა იაფფასიანი პროპაგანდის ანკესზე, რომელსაც, როგორც წესი, საკმაოდ სოლიდური დაფინანსება და იმის შეპირება ახლავს, რომ ამ ომში უხვად შეიძლება მოიპოვონ ალაფი (რა თქმა უნდა, მორალიორების გზით!).“

მუსლიმი სულიერი ლიდერები კი მათ არწმუნებენ, რომ ურჯულოებთან ომში დაღუპვის შემთხვევაში მათი სული აუცილებლად მოხვდება სამოთხეში (ძალიან ჰგავს ეს ყოველივე შუა საუკუნეების სპარსული სექტა “შევატკინანების” საბრძოლო მოწოდებას: “მოკალ ქრისტიანი და სული შენი სამოთხესა არს! მოიკალ ქრისტიანისაგან და სული შენი მაინც სამოთხესა არს!” – “ილორი“)

ყოველივე ზემოაღნიშნულს ისიც ემატება, რომ ქვეყანაში მიმმე სოციალური ყოფის და კორუფციის მაღალი დონის გამო ძალიან ბევრს მომავლის იმედი გაუცრუვდა, – აცხადებს აზერბაიჯანელი ექსპერტი ზარდუშთ ალიზადე.

სამინფორმი



სვეტიცხოვლის ტაძრის „ქვათა ღაღადი“

„თქვენ გეუბნებით, ესენი რომ გაჩუბდნენ, ქვები იღაღადებენ“ (ლუკა 20, 40)



სვეტიცხოვლის დასავლეთის ფასადის მესამე ნაივი სიმბოლურად განასახიერებს იესოს მესამე რჯულს (სახარებას) და მესამე ქართულ (ლაზურ) სასულიერო სახელმწიფო ენას – იაფეთს (იბერიულს). მესამე ნაივის ფასადი მოჩუქურთმებულია ბიბლიური კოდური ნიშნებითა და სიმბოლოებით. განსაკუთრებით ხაზი გასმულია ასონიზან „ღ“ (ღან-ზე), „ი“ (ინ-ზე), „ქ“ (ენ-ზე), (იე-ზე), ვენახ-ზე, ვაზ-ზე, მტკვან-ზე და საიდუმლო რელიგიის გვირგვინზე სამ რჯულზე და სამება-ენაზე, რომელსაც სიმბოლურად აერთსახეობს ქვაზე ამოტვიფრული სამი ქურუმი; იესო შუაშია, მისგან მარცხნივია ნოე, ხოლო მარჯვნივ – მოსე.

სვეტიცხოვლის მესამე ნაივის სახურავის კეხზე დგას პატარა ეკლესიის მაკეტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მესამე სასულიერო ენას – იაფეთს (იბერიულს), და იესოს მესამე კლასიკურ რჯულს (სახარება=სიცოცხლის ხეს).

სვეტიცხოვლის დასავლეთის ფასადი ანუ სამ-სართულიანი კილონის მწვერვალს წარმოადგენს თექვსმეტ სარკმლიანი სვეტი (სვეუზუნაგისი და ტი=წილი) ჯვარის გვირგვინით, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს ჯვარცმოდან აღმდგარი იესო ქრისტეს მტკვან-ზე ტანს, კოსმიურ საფრენ აპარატს. მიღმა სამყაროში გასაფრენ ჯადოსნურ ნავს. (კოსმო-ნავ-ტიკა, ნავ-ტიკი, საფრენი აპარატი).

ჩრდილოეთის ფასადი

სვეტიცხოვლის ჩრდილოეთის ფასადი აჩვენებს ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს ფიზიკური სხეულის კოდურ-არქიტექტურულ-სიმბოლური 49 გვერდიანი წიგნის ერთ ფურცელს, ანუ ხილულ ტანის სახეს, რომელიც უხილავის ვასალებს წარმოადგენს. როგორც ადრე ვთქვით, ჭეშმარიტების დოგმა გონივრულად განსაზღვრავს ნაწილს (25%) ანუ მთლიანის წილს. მაშასადამე, ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს ხილული ტანი წარმოადგენს მისი მთლიანი პოტენციის (4/4=100%) ერთ მეოთხედ ნაწილს (25%), ხოლო მისი პოტენციის (75%) ნაწილი ინფორმაციის სახით დევს ხილულ-ში. ამ უხეანესი კანონზომიერებიდან გამომდინარე, I=3=1.

ქართველ ქრისტიანთა სულიერი მისია, ანუ ქართული საიდუმლო რელიგიის სასულიერო-სახელმწიფოებრივი მისია, მისი დასაწყისიდან ღაზარეს აღდგენამდე, უდრის 16.000 წელიწადს (4/4=16000=100%). აქედან სვანურ-მეგრული ენის სულიერი მისიის წილი შეადგენს (75%) ნაწილს ანუ 12.000 წელიწადს, ხოლო იბერიულსა (25%) ნაწილს ანუ 4.000 წელიწადს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე ამოტვიფრული გონიო (1/4 ნაწილი მთლიანისა) წარმოადგენს ჭეშმარიტების ეტალონსა და საიდუმლო რელიგიის გასაღებ პაროლს. გონიო და მარჯვენა გვერუბნება, რომ ჭეშმარიტების დასადგენი ათვლის ეტალონი, ანუ სამყაროს უხეანესი დოგოსის საბაზისო დოგმა (ათვლის სისტემა), ქართული ან-ბანურ-რიცხობრივი კოდური დამწერლობის სისტემით განიმარტებაო. მაშასადამე, გონიო გულისხმობს ჭეშმარიტ სიტყვას, ხოლო მარჯვენა – იესო ქრისტეს ხელდების დასტურს, მოანდრძისა და ანდრძის შემკვიდრე ერის ურთიერთმ-მართების ბეჭედდასმულ დოკუმენტს. აი, ამიტომ ეწოდება საქართველოს დემოთის ხელდებული და რჩეული ერი, მარიამ ღვთისმშობლის, ანუ ქრისტეს მშობლის წილ-ხვედრილი ქვეყანა, ე.ი. ქრისტეს ხორციელი და სულიერი სამშობლო. ბუნებრივია, ქრისტეს სახარება, ქრისტეს

მშობლიურ ენაზე – ქართულად ექადაგება კაცობრიობას.

სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე აღბეჭდილია ორი არწივი, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს დვთაებრივი იოანე მოციქულის სახარებისა და გამოცხადების შინაარსში ჩადებულ ინფორმაციას, რომელსაც ადებს იოანე სულწინდით ნათლისმცემელი და ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად პრომეთეს ცეცხლს – ქრისტიანული განათლების სისტემით, აძლევს უმეცრებისაგან დამონებულ კაცობრიობას.

სამხრეთის ფასადი


სვეტიცხოვლის სამხრეთი ფასადი აჩვენებს ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს ფიზიკური სხეულის კოდურ-არქიტექტურულ-სიმბოლური წიგნის სამ ფურცელს, ანუ ხორციელ სხეულში არსებული 75% ინფორმაციის (სამხრეთის ფასადი დღის ყველა მონაკვეთში განათუბულია). მაშასადამე, ჩრდილო-ეთი ნიშნავს დედამიწიურ ხორციელ ტანს, ხოლო სამხრეთი – მზის სავანის ცეცხლოვან ტანს. ანუ დედამიწიური ჯოჯოხეთის ტანი, ხორცის კაბა (ჩრდილო-ეთი) წარმოადგენს მზის გულს – სამოთხის ცეცხლის ტანის (სამო-სეფის) ჩრდილს, აჩრდილს – სრულყოფილის დაკნინებულ სახეს (ჯოჯოხეს, ჯოჯო წყრილს).

დღისით მზე დედამიწისა და სვეტიცხოვლის ტაძარს (ტანს) ანათებს აღმოსავლეთიდან, გადადის სამხრეთში და დასავლეთში ჩადის, რის შემდეგაც იწყება



ღამე – ჩრდილო-ეთი. მაშასადამე, დღისით ადამიანი ხედავს მზის ნათების (75%) ნაწილს, ხოლო (25%) ნათებისა ადამიანის თვალისაგან დაფარულია. სამხრეთი არის სამ-მხარეთის მაქსიმალური სუბსტანცია. დღისით მზე სვეტიცხოვლის სამ-მხარეთის განათებით შემოწერს ასომთავრულ „ღ“ (ღანს), მხედრულ „ი“ (ინსა) და „ქ“ (ენს). მაშასადამე, მზეა „ღ“ (დემოთი=მარადისობა), რომელიც წერს მზის სახლის არსთა სამყაროს სხეულს – სული (ი) წმიდას (ე).

სამხრეთის ფასადის მეორე ნაივის კედელზე, ანუ ნოეს მეორე ვაჟის სემის (მეგრული ენის) და მეორე რჯულის მონაკვეთის ფასადზე, დატანებულია სარკმელი, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს საიდუმლო რელიგიის კარს, საიდანაც კაცობრიობას მიეცა ცნობიერი საკვები, გიორგიანული განვითარების სისტემა. სარკმელს ასომთავრული „ღ“ (ღანისა) და მხედრული „ი“ (ინის) ფორმა აქვს და მოჩუქურთმებულია. ჯვარისა და ჯაჭვური ნაქსოვის სისტემით, რომელიც სიმბოლურად ვარსკვლავიერი კოსმოსის მარადისობასა და ურდვევ ერთიანობას გულისხმობს. ასომთავრული „ღ“ (ღანის) ფორმის მოჩუქურთმებული ორნამენტი გარშემოწ-



ერილია ორი გონიოსა და ასომთავრულ „ღ“ (ღანის) ფორმის ორმაგსხეულიანი

(დალიანდაგებული) კოდური სისტემის კომბინაციით (ღ=დემოთს, გონიო=ჭეშმარიტების ეტალონს, ი=სული და ე=წმიდას). ამრიგად, სარკმელი აჩვენებს, რომ ადამიანისა და უსასრულო ვარსკვლავიერი კოსმოსის ვინაობისა და რაობის გადმოცემა უხეანესი სიმბოლურ-მეტყველებისა და სწავლების საიდუმლო რელიგია საქართველოშიაო, სვეტიცხოვლის მფლობელი ერის დამწერლობასა და ენაშიაო დამარხული.

მოჩუქურთმებული სარკმლის ზევით,



ქვის კედელზე, ამოტვიფრულია ორი ვახის ლერწი მტკვანებით (აკიდო), რომელიც სიმბოლურად აჩვენებს: მეგრულ ენას და მეორე რჯულს, იბერიულ ენას და მესამე რჯულს, საიდუმლო რელიგიას და საქართველოს სულიერ მისიასაც, ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი ბიბლია: „ესენი იყვნენ ნოეს შვილები, კიდობნიდან რომ გამოვიდნენ (ნოეს კიდობნიდან, ანუ ნოეს კოდური სამება-დამწერლობიდან, სამება-ლაზური ენიდან, რჯულის წიგნიდან, გიორგიანულ განათლების სისტემიდან და გენეტიკური ჯიშისაგან რომ გამოვიდნენ): სემი, ქამი და იაფეთი. ქამი იყო ქანაანის მამათავარი (ანუ სვანური ენა იყო ქვეყნის სულიერი წინამძღოლი). ეს სამი იყვნენ ნოეს შვილები, მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული (ანუ პირველი რჯული – ქამი, მეორე რჯული – სემი და მესამე რჯული – იაფეთი არის მთელი კაცობრიობის განმანათლებელი). „დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი. შესვა ღვინო, დათერა და გაშიშვლდა თავის კარავში“. (დაბ. 9, 18-21). ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ ნოე არის მიწის მუშაკი ანუ გიორგიანი ქართველი, რომლის შვილებია: ქამი (სვანური ენა = პირველი რჯული), სემი (მეგრული ენა = მეორე რჯული) და იაფეთი (იბერიული ენა = მესამე რჯული), ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი სახარება: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამანემი კი მევენახეა“. მაცხოვარი იესო ალევორულ-სიმბოლური ენით გვეუბნება: მე მიწის მუშაკი გამშენებელი (ე-ენა-ხი ანუ ე-ინა-



ბის მქონე ენის გამშენებელი ნოეს) გიორგიანი (ქართველი), ნოეს სულიერი და ხორციელი შთამომავალი (შვილი) ვარო. აღნიშნულ ჭეშმარიტებას ადასტურებს სვეტიცხოვლის ფასადზე ამოტვიფრული ვიზის აკიდო. იმისათვის, რომ ყოველგვარი ეჭვი გაიფანტოს, მაცხოვარი ეუბნება იუდეველებს ანუ მსოფლიოს მწიგნობარ ფარი-სველებს: „ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის მსმელს (მხედველობაშია ქართული სამება-დამწერლობა, სამება-ენა და სახარება) საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს (მხედველობაშია ქრისტეშობიდან 2000 წელი ანუ ღაზარეს აღდგენის მომენტი). რადგან ჩემი ხორცი ნამდვილი საჭმელია (მხედველობაშია ქართული სამება-დამწერლობა და სამება-ენა) და ჩემი სისხლი ნამდვილი სასმელი (მხედველობაშია სახარებაზე ზიარება). ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის მსმელი ჩემში რჩება და მე – მასში“. (იოანე 6, 54-56).

ორი ვახის აკიდოს შორის ქვის კედელზე ამოკვეთილია თეთრ ცხენზე

ამხედრებული წმიდა გიორგი, რომელსაც შუბი (სიმართლე) გველუშაპის (სიცრუის) პირში აქვს გასაგამირავად ჩაჩრილი. სასულიერო-საგანმანათლებლო ხაზით წმიდა გიორგი იგულისხმება ქართველი გიორგიანი ქურუმები: ადამი (1), ნოე (2), აბრაამი (3), ისაკი (4), იაკობი (5), მოსე (6), იესო (7) და ქართული სამება-დამწერლობა. თეთრ ცხენში (ცხენი) ცხებული ქართული სამება-ენა (ქამი+სემი+იაფეთი=სვანური+მეგრული+იბერიული). შუბში – გიორგიანულ-მცენიერული განათლების სისტემა (სიმართლე). გველუშაპი – ანტიქრისტიანული იდეოლოგია, ანუ ბაბილონის მეძავი თალმუდი და მარქსიზმი (სიცრუე).

წმიდა გიორგის სურათის გვერდით, ქვაზე ამოკვეთილია ვახის ჯვარი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს მარადისობის კანონს და მის გასაღებს, ქართულ ენა ღაზარეს.

ვახის ჯვარის გვერდით, სვეტიცხოვლის ფასადის კედელზე, ამოკვეთილია ორი მტრედი, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს მეორე რჯულს (მოსე-თორა=მეგრულ ენას) და მესამე რჯულის (იესო=სახარება=იბერიულ ენას). ორი მტრედი (მოსე და იესო) ქართული საიდუმლო რელიგიის ინფორმაციიდან (გრაალის თახიდან) იღებენ სულიერ საკვებს, ანუ ცნობიერად ჭამენ საიდუმლო რელიგიის კოდს. მტრედების ზემოთ გამოსახულია ფრთებიანი ანგელოზები, ანუ ციური მფრინავი კაცი. ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი ბიბლია: „ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ სარკმელი“ (ორმოც დღეში იგულისხმება ორ-



მოცი ქართული კოდური დამწერლობა, გაღებულ სარკმელში – პირველი რჯულის წიგნი...) კიდობნისათვის რომ ჰქონდა დატანებული, გამოუშვა ყორანი (მხედველობაშია პირველი რჯულის განათლების სისტემა), მიფრინავდა იგი და უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი დედამიწაზე (ანუ ვიდრე დამთავრდებოდა პირველი რჯულის განათლების სისტემა დედამიწაზე...) გაუშვა მტრედი, რომ გაეგო – თუ დაიკლო წყალმა მიწის პირზე (მხედველობაშია მოსეს მეორე რჯული და განათლების სისტემა). შვიდ დღეს კიდევ იცადა და ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან (მხედველობაშია იესოს მესამე რჯული და 2000 წლიანი ქრისტიანული რელიგია). დაბრუნდა მტრედი სადამოჟამს და, აჰა, ზეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. მიხვდა ნოე, რომ დამწვარიყო წყალი დედამიწაზე“ (ანუ ნოეს რჯულის განათლების სისტემაზე დამთავრა მასზე დაკისრებული მისია...).

შვიდ დღეს დაცადა კიდევ და გაუშვა მტრედი, ადარ მობრუნებულა იგი მასთან“. (დაბადება 8, 6-12). (მესამედ გაშვებულ მტრედში ღაზარეს აღდგენა და ქართველ ქრისტიანთა სულიერი მისია იგულისხმება...).

მაშასადამე, სვეტიცხოვლის სამხრეთის ფასადზე კოდურ-ალევორული ენით გადმოკვეთილია ქართული საიდუმლო რელიგიის ბიბლიური ისტორია, ანუ ქართული სასულიერო ინსტიტუტის მატიანე შემოვლადღებს ქვის უტყვი მეტყველებიდან. ამიტომ გვეუბნება დვთაებრივი სახარება: „ნათელდებული იესო მაშინათვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი (მხედველობაშია საიდუმლო ინფორმაციის წერილები), და მან იხილა ღვთის სული (მხედველობაშია ქართული საიდუმლო სამება-დამწერლობა და სამება-ენა), მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ დაეშვა“. (მათე 3,16).



ხმაური არზაყან ემუხვარის მემორიალური კომპოზიციის გარშემო — ინტერვიუ მოქანდაკესთან



“ცისკენ ისწრაფვის და იმ შეუსრულებელი საქმეების გამოხატულებაა, რომელთა დასრულებაც არ აცადეს...”

ორიოდ კვირის უკან, ქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიასთან და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრის, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის ქუჩა და მემორიალური კომპოზიცია გახსნა, რომელიც თბილისის მერიის დაფინანსებით გაკეთდა. ინიციატივა კი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნოდა...

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ არზაყან ემუხვარი იყო აფხაზი თავადი, რომელიც ქართული აზროვნებითა და ცნობიერებით ცხოვრობდა. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელების მხარდამხარ იბრძოდა და რის გამოც აფხაზების ერთი ნაწილი მოდლატველ მიიხვედრა. მის მიმართ კეთილგანწყობა

არც თანამედროვე აფხაზეთში იგრძნობა... “ინც საქართველოს და აფხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც წარმოდგენა!” — წერდა ის და სწამდა, რომ აფხაზეთის გადარჩენა მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში შეიძლებოდა...

ის იყო დემოკრატიული აფხაზეთის ჯერ ერთი საბჭოს, შემდეგ კი ავტონომიური მთავრობის თავმჯდომარე. ბოლშევიკური შემოსვლის შემდეგ, რასაც აფხაზეთის გასაბჭოება მოჰყვა, იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. პარიზში ის სხვა ქართველ ემიგრანტებს შეუერთდა... გარდაიცვალა 1939 წელს, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, ნოე ჟორდანიას გვერდით...

არზაყან ემუხვარის კებლის ბახსნა

ბევრს არც ის ეცოდინება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი რომანის, — “მთვარის მოტაცება” მთავარი გმირი, თარაშ ემუხვარის პროტოტიპი, — რეალური პიროვნება არზაყან ემუხვარი იყო. წლების შემდეგ, მისმა ერთადერთმა შთამომავალმა, აფხაზმა ქალბატონმა ნატო მარშანიამ (არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი მისი ბუბის, ანა ემუხვარის ძმა იყო) მის ცხოვრებას წიგნი მიუძღვნა “არზაყან ემუხვარი — ქედუსრელი რაინდი”. რამდენიმე წლიანი ძალიანსმევის შემდეგ კი, მისი ინიციატივით, თბილისში არზაყან ემუხვარის სახელობის ქუჩა და მემორიალური კომპოზიცია გაიხსნა. აღნიშნული კომპოზიცია, გახსნისთანავე გახდა საზოგადოების ცხარე კამათის საგანი, — ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ არზაყან ემუხვარის ხსოვნისადმი მიძღვნილი კომპოზიცია, თავისი მრწამსის, ეროვნული შეგნებისა და საერთოდ, მის მიერ განვლილი უმძიმესი გზის გამო,

უკეთეს ადგილს იმსახურებდა; გარკვეულმა კი, კომპოზიციის მთავარი გზავნილი ვერ “წაიკითხა”.

არზაყან ემუხვარის მემორიალური კომპოზიციის ავტორი აფხაზეთიდან დევნილი, სოხუმელი მოქანდაკე და მხატვარი ზურაბ კოკაიაა:

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ვინმეს ამ კომპოზიციის გაგება და აღქმა გაუჭირდებოდა... ეს არის თითქოს ბიზნის ხეობის ნაწილი, კლდიდან მოგლეჯილი


რულება ვერ შეძლო, ებრძოდნენ და არ აცადეს. კომპოზიციაში, აგრეთვე ჩადებულა ორი მომეცის, ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაც... როდესაც ამ კომპოზიციაზე დავიწყე მუშაობა, მის შთამომავალს ვკითხე, — როგორ ხასიათი ჰქონდა-მეთქი, — მან მითხრა, თავისი პრინციპული, მტკიცე და შეუვალი ხასიათის გამო, თანამოაზრეებმა კაცოკლდე შეარქვეს. ამიტომაც ვარჩიე “კლდის ნახეთქში” მისი ხეობრივი თვისებებისა და შინაგანი

ბევრს არც ის ეცოდინება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი რომანის, — “მთვარის მოტაცება” მთავარი გმირი, თარაშ ემუხვარის პროტოტიპი, — რეალური პიროვნება არზაყან ემუხვარი იყო. წლების შემდეგ, მისმა ერთადერთმა შთამომავალმა, აფხაზმა ქალბატონმა ნატო მარშანიამ მის ცხოვრებას წიგნი მიუძღვნა “არზაყან ემუხვარი — ქედუსრელი რაინდი”.

ქვა, რომელიც ხელოვნურად დავამუშავე ასე. სამწუხაროდ, მართლა იქიდან ჩამოტანის საშუალება არ გვექნია. რახან აზრის დეტალურად გადმოცემა დაგვიჭირდა, აფხსნი, — ის ისწრაფვის ცისკენ და ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი არის მისი დაბადება და ახალგაზრდობა, მეორე კი — ცხოვრების სხვა ეტაპზე გადასვლა, რადგან ის გააქციეს სამშობლოდან. კომპოზიციაში ასევე არის დაუმუშავებელი ნაწილი, ანუ ის პერიოდი, როდესაც მან საქმეების დას-

მრწამსის კომპოზიციურად გადმოცემა... — საზოგადოების კრიტიკა გამოიწვია იმანაც, რომ კომპოზიციაში მეტი მინიშნების გაკეთება შეიძლებოდა... — იცით, მეც ვიფიქრე ამაზე, მაგრამ იმ ლანდშაფტმა, სადაც ეს კომპოზიცია აღიმართა, არ მომცა ამის უფლება. იმ ადგილას სხვა რამის გაკეთება, ფორტო არ ან რამე სხვა ფიგურით, უბრალოდ სასაცილო იქნებოდა, იმედნად არ მოუხდებოდა იქაურობას. **ლალი პაპასპირი**

მზის სისტემა იცვლება



ჩვენ მზის სისტემა სტატიკური და უცვლელი ვგონობ, მაგრამ ეს ასე არ არის. მხოლოდ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მასში. მეცნიერები უკვე სერიოზულად არიან შეშფოთებული ყოველივე ამით და ცდილობენ გაარკვიონ თუ რა მიზეზით ხდება გლობალური ცვლილებები მზის სისტემაში.

ასტროფიზიკოსებმა დააფიქსირეს, რომ მზის მაგნიტური ველის ინტენსივობა თანდათანობით იზრდება. ათწლეულის წერტილად 1901 წელი აიღეს. აღმოჩნდა რომ, იმ დროიდან დღემდე, მზის მაგნიტური ველის ინტენსივობა 230 პროცენტით გაიზარდა. ამის შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ პოლარული ციკლი, რომელიც ადრე მხოლოდ პოლუსებზე იყო, დღეს ისეთ რეგიონებშიც გვხვდება, რომლის მოსახლეობა, ასეთ მოვლენებს, ადრე, მხოლოდ ტელევიზორში ნახულობდა.

მზის მაგნიტური ველის გაზრდის ფონზე, დედამიწაზე იმატა გეომაგნიტური ქარიშხლების რაოდენობამ, რომელიც ისეთი უსაფრთხო არ არის, როგორც ადრე ფიქრობდნენ. 20 წლის წინ ხალხი საერთოდ არ აქცევდა ყურადღება გეომაგნიტურ ქარიშხლებს და არც მეცნიერები საუბრობდნენ საჯაროდ ამ საკითხებზე. მაგრამ, დღევანდელმა მდგომარეობამ, თავისი კორექტივები შეიტანა ხალხის ინტერესთა სფეროში. დადგენილია რომ ასეთი ქარიშხლის შემდეგ მატულობს სიკვდილიანობის კოეფი-

ციენტი მოსახლეობაში. განსაკუთრებით გულითა და პიპერტონით დაავადებულ ადამიანებს შორის. როგორც მეცნიერები ამბობენ, მსგავსი პრობლემები 20-15 წლის წინ არ იყო და არც ამ საკითხების საჯაროდ განხილვის საჭიროება იყო.

ცვლილებები მიმდინარეობს მზის სისტემის სხვა პლანეტებზეც:

მერკურს ორივე პოლუსზე ყინულის ქუდები გაუჩნდა. კოსმოსური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ცვლილება უცაბედად მოხდა.

ვენერაზე, სულ რაღაც 40 წლის მანძილზე, 2.500 პროცენტით გაიზარდა პოლარული ციკლის სიმკვეთრე. მეცნიერებმა ასევე დაადგინეს, ამ პლანეტაზე ატმოსფეროს მოცულობის ზრდა, რომელიც პლანეტის მასშტაბით, გლობალურ ხასიათს ატარებს.

იუპიტერზე, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, საგრძობად გაიზარდა, მის ირგვლივ მდებარე პლაზმური ღრუბლების ნათების დონე.

სატურნზე, ბოლო 30 წლის მანძილზე, გაიზარდა ეკვატორული სარტყლიდან რენტგენული სხივების ნათების ინტენსივობა.

ურანზე, რომელიც ადრე მშვიდი ატმოსფერული მდგომარეობით გამოირჩეოდა, უეცრად დაიწყო ღრუბლების აქტიური მოძრაობა.

ნეპტუნის ატმოსფეროს ნათება 40 პროცენტით გაიზარდა.

პლუტონზე, თითქმის 40 პროცენტით გაიზარდა ატმოსფერული წნევა.

მარსზე დაფიქსირდა გლობალური კლიმატური ცვლილებები, გახშირდა და გაძლიერდა ქარიშხლები და პოლარულმა ყინულებმა დნობა დაიწყო.

დედამიწაზე კლიმატური პირობების გლობალური ცვლილების ფაქტს, უკვე ადარავენ უარყოფს. მეცნიერები ამ მოვლენასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიებს განიხილავენ. მათ შორის არის ვერსია, დედამიწის მაგნიტური ველის შესუსტების შესახებ.

მეცნიერები ასევე საგონებელში ჩააგდო, უკანასკნელ პერიოდში, მზის სისტემის საზღვარზე, არსებული მანათობელი პლაზმის მოცულობის 1.000 პროცენტით გაზრდა.

რა ხდება? არის თუ არა ერთმანეთთან კავშირში მზის სისტემის პლანეტებზე მიმდინარე გლობალური ცვლილებები? და რა იწვევს ამ ცვლილებებს?

ეს არის კითხვები, რომელზეც მეცნიერებს პასუხი არ აქვთ ან გახმობანება არ უნდათ. ისინი ყველაფერს მზის მაგნიტური ველის ინტენსივობის გაზრდას აბრალებენ. მაგრამ, არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც მეც-

ნიერები არ აღიარებენ. ეს არის პლანეტა ნიბირუს შესადლო გაკვლევა მზის სისტემის პლანეტებზე.

სახელი ნიბირუ ბაბილონურ თქმულებაში, “ენუმა ელიშიში” არის ნახსენები, რომელშიც მოთხრობილია ამბავი, სამყაროს შექმნის შესახებ. მზის სისტემის მე-12-ე პლანეტა ნიბირუ, ასევე, ნახსენებია შუმერულ ტექსტებში, რომლის მიხედვითაც, ამ ციურ სხეულს ფრთოსანი დისკის ფორმა აქვს. იმავე ტექსტების მიხედვით, პლანეტა მზის სისტემაში 2014-დან 2035 წლამდე უნდა გამოჩნდეს.

ძველი ლეგენდების თანახმად, საიდუმლო პლანეტა (ნიბირუ, ძველ ჩანაწერებში X სიმბოლოთი არის აღნიშნული) მზის სისტემაში, 3.600 წელში ერთხელ ჩნდება. მის ორბიტას წაგრძელებული ფორმა აქვს და ის მზის სისტემაში, მარსსა და იუპიტერს შორის გადის. როდესაც ის მაქსიმალურად უახლოვდება დედამიწას, მისი წარმომადგენლები ჩამოდიან დედამიწაზე და კონტაქტს ამყარებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

თავდაპირველად, ამ პლანეტაზე ცხოვრების პირობები ძალიან პკავდა დედამიწის ცხოვრების პირობებს. ამავე დროს, იქ იზრდებოდა მეცნიერები, რომლებიც სიცოცხლეს უხანგრძლივებდნენ ადამიანებს. შესაძლებელია ასეთი მეცნიერები აქაც იყო, რადგან ბიბლიის თანახმად, მაგალითად, ადამმა 930 წელი იცოცხლა, ნოემ — 950. მაგრამ, დავუბრუნდეთ ისევ ნიბირუსს. დაახლოებით 420 ათასი წლის წინ, ნიბირუზე კონფლიქტი დაიწყო იმის გამო, რომ პლანეტის ატმოსფერომ რღვევა დაიწყო. გადარჩენის ერთადერთი საშუალება, ოქროს იონების ატმოსფეროში გაშვება იყო, ამ ლითონის აორთქლების გზით (მსგავსი ტექნოლოგია, დღეს “მატლებში” გამოიყენება).

პლანეტის მმართველი, სახელად ალაღუ, გაემგზავრა კოსმოსში, სხვა პლანეტებზე, ამ კეთილშობილი ლითონის მოსაძიებლად და დედამიწა ყველაზე შესაფერისი “დონორი” აღმოჩნდა. ამის შემდეგ, დაიწყო აქტიური კონტაქტი ნიბირუსსა და დედამიწას შორის.

შემერული ჩანაწერების მიხედვით, მზის სისტემაში შემოსული პლანეტა ნიბირუ, უდიდეს გაკვლენას ახდენს სხვა პლანეტებზე. მას შეეძლო, ყველა სხვა პლანეტის ორბიტის გაკონტროლება. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ რაც ამჟამად მზის სისტემაში ხდება, ნიბირუს ზეგავლენის ბრალი იყოს. ის ფაქტი, რომ გამქრალი ცივილიზაციების წარმომადგენლები კარგად ერკვეოდნენ ასტრონომიაში, ეჭვს არ იწვევს და ამიტომ, “მოგზაური” პლანეტა, რომელიც ხშირად არის ნახსენები ძველ ჩანაწერებში, უბრალოდ გამოგონილი ობიექტი არ უნდა იყოს.



ბართლომეუს დასა



გაზეთ "ილორო"-ს მკითხველებს ალბათ ახსოვთ ჩემი ამასწინანდელი წერილი ისტორიულ თემაზე, რომელიც მიეძღვნა თურქების მიერ გადაღებულ მხატვრულ სერიალს – "დიდებული საუკუნე" (300-მდე სერია). წერილში მემატინეთა მიერ მოწოდებული ფაქტების მოხმობით იყო გამოაშკარავებული ისტორიული სიყალბეები და დამტკიცებული იყო თურქების მისწრაფება საკუთარი წარსულის შეღამაზებისაკენ, რაც მათ ტრადიციულად ტოლერანტულ ერად და მაღალი სულიერი ღირებულებების მქონე საზოგადოებად წარმოგვიდგენს. არა და, მიუკერძოებელი ჟამთააღმწერლები და კაცობრიობის ისტორიის პირუთენელი წარმომადგენლები კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ადასტურებდნენ ოსმალეთის მმართველი ძალის ბარბაროსულ ბუნებასა და უკულტურობას. წერილში ასახული იყო, თუ "როგორ ალაზაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ გამახინჯებთ ქართველები საკუთარ ისტორიას", რომელსაც (თუ წრესგადასულ სიამაყედ არ ჩამითვლით), მკითხველთა საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უამრავმა ადამიანმა დაგმო ქართველ ისტორიკოსთა მიერ რეალური ისტორიული ფაქტების იგნორირება და გადამეტებული "შახსი-ვახსი", როცა ვაი-ისტორიკოსები ჩვენი წინაპრების თუნდაც ელემენტარული პოლიტიკური თუ ყოფაცხოვრებითი ლაპსუსს ჩვენი უკულტურობის, ან სამშობლოსადმი ღალატის მკაფიო გამოვლინებად მიიჩნევენ. მაგალითად, არაერთგზის დააბრალებს მეფე ერეკლე მეორეს ანტონ კათალიკოსის უმიზეზოდ გაჯოხვა, რომელიც კათოლიკურ საეკლესიო დოგმებს ქადაგებდა მართლმადიდებლურ საქართველოში. მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რამდენი სისხლი დაიდვარა ლიბერასტებისათვის ესოდენ ქებულ ევროპაში ეკლესიურ ღირებულებებისადმი შეხედულებათა განსხვავების გამო. სწორედ შუა საუკუნეების საფრანგეთში მომხდარი სისხლიანი რელიგიური დაპირისპირებაა ასახული მომდევნო წერილში, რომელსაც ათიათასობით უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა.

საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და სამარცხვინო ფურცელი – "ბართლომეს დასა", იმ რელიგიური დაპირისპირების შედეგი იყო, რომელმაც თავი იჩინა XVI საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში. ამ საუკუნის პირველი ნახევარი ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური წინსვლით აღინიშნა. საფრანგეთის მეფეები გაუმდებით ებრძოდნენ ესპანეთის მეფეებს ევროპაში ტერიტორიების გადანაწილებისთვის; სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობდა იტალიაშიც, რომელიც ასევე ცდილობდა მაქსიმალურად გაეზარდა თავიანთი გავლენა ევროპაში. სხვა წერილ-წვირულ ევროპულ სახელმწიფო წარმონაქმთა სიუხურეებიც ერთგვარად აღინიშნა. ხოლო დროდადრო ამ უაზრო ომებში, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი მხედართმთავრული ამბიციები დაეკმაყოფილებინათ. იმ დროისათვის მაღალგანვითარებულ და რენესანსობადი იტალიასა და მის კულტურასთან დაახლოებამ ფრანგები აღორძინებისეულ სამყაროს აზიარა. საფრანგეთში გზა გაიხსნა ახალი იდეებისა და ახლებური მსოფლმხედველობისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კარდინალურ ცვლილებებს საუკუნოობით უძრავად მდგარ რელიგიურ სამყაროშიც. კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა მასობრივმა მოძრაობამ (პროტესტანტობამ) საფრანგეთში XVI საუკუნის 20-30-იან წლებში შეაღწია. ფრანგი პროტესტანტები ძირითადად კალვინის მიმდევრები იყვნენ (საფრანგეთში მათ ჰუგონოტები ეწოდათ). ფრანგი პროტესტანტი მოღვაწე ჟან კალვინი (1509-1564 წწ.), რომელსაც ეწოდებოდა პაპს უწოდებდნენ (რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი ვენეციაში გაატარა), ყველაფრის წინანსწარგანსახდურულობას, სამყაროს არსებობაში ღვთის ჩაურევლობასა და საქმეში (უფრო ფულის დაგროვებაში) წარმატების მიღწევის აუცილებლობას ქადაგებდა. ჰუგონოტები, ძირითადად, საფრანგეთის სამხრეთის ქალაქების შემოღობული მოსახლეობისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ. ისინი, საკუთარ საქმეში წარუმატებლობის შემთხვევაში, ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მეფისა და რასაკვირველია, კათოლიკური ეკლესიისადმი, რომელიც მაშინ მეფის მთავარ იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა. ამგვარ რელიგიურ მოწინააღმდეგეებს კათოლიკეები "მწვალებლებს" უწოდებდნენ და მათდამი განსაკუთრებულ სიძულვილს ამჟღავნებდნენ. რელიგიურ ნიადაგზე შეტაკებები და ხოცვა-ჟლეტა საფრანგეთში "ბართლომეს დასამდე" ხშირად ხდებოდა, განსაკუთრებით რელიგიური ომების პირველი პერიოდის (1562-1572 წწ.) მოყოლებული. მაგრამ ეს შეტაკებები არ

გახლდათ მასობრივი და დიდი მსხვერპლის მომტანი. ამასობაში კი "მწვალებლებს" მხარდამჭერების და თანამგრძობთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რაც კათოლიკეებს სასტიკად აღიზიანებდა. "მწვალებლები" უკვე იმდენად მოძლიერდნენ, რომ სახელმწიფოს საქმეებშიც კი დაიწყეს უაპელაციოდ ჩარევა. სწორედ მათი სიმტკიცე და შეუდრეკელი ხასიათი იქცა პროტესტანტების წარმატების საფუძვლად. ისინი უკვე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ კათოლიკეებთან შედარებით მაინც მცირე პოტენციალი გააჩნდათ. რელიგიური განსხვავებულობის საბაზით ერთმანეთს საფრანგეთის დიდი საგვარეულოებიც კი უპირისპირდებოდნენ. კათოლიკეთა ბანაკში გამორჩეული ადგილი ეჭირა გიზების საგვარეულოს, ხოლო პროტესტანტებში – კოლინებისა და ბურბონების ოჯახები დომინირებდნენ. ჰუგონოტთა გამონივნილი მეთაური გახდა ადმირალი გასპარ დე კოლინი, სიმპათიური გარეგნობის თეთრწვერა ჭარბი ადამიანი, უბრალოებითა და პატიოსნებით გამორჩეული ჰუგონოტი. იგი ენერგიულად იცავდა პროტესტანტების ინტერესებს თავის სამშობლოში. კათოლიკეთა შორის კი ძალაუფლება აიღეს ფრანსუა (სამხედრო მმართველობა) და შარლ (სამოქალაქო მმართველობა) გიზებმა. ისინი მეფე ფრანცისკ მეორის მცირეწლოვნების მომიზეზებით მართავენ ქვეყანას (გიზები ბიძებად ეკუთვნოდნენ ფრანცისკ მეორის მეუღლეს, შოტლანდიელ დედოფალ მარიას). ეს კი ძალიან აწინებდა ფრანცისკ მეორის დედას, უსაზღვრო სიმიდრითა და ცბიერებით განთქმული იტალიელი მედიჩების შთამომავალს ეკატერინე მედიჩის, რომელმაც, გიზების საპირწინედ, საფრანგეთის სამეფო კართან ჰუგონოტთა დაახლოება გადაწყვიტა. 1560 წელს ფრანცისკ მეორე მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა შარლ მეცხრე, რომელიც ასევე მცირეწლოვანი გახლდათ (თუმცა არც ეს მეფე გამოდგა დღევანდელი, რადგან ეკატერინე მედიჩის თავისი სასიძოს – ჰენრი ნავარელის მოწამება სურდა, მაგრამ ყველაფერი მისი გეგმით არ განვითარდა და ეკატერინეს საწამლაკეთი მოიწამლა მისივე შვილი შარლ IX, რომელიც გარდაიცვალა 29 წლის ასაკში). საფრანგეთის სამეფოს მმართველობა ხელში აიღო დედოფალმა ეკატერინე მედიჩიმ. მან დაიახლოვა გასპარ დე კოლინი. კოლინიმ მეფეს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ასახული იყო კოლინის საგვარეულო-ტიკური გეგმები (და არა მხოლოდ ეს): ნიდერლანდების საფრანგეთისთვის შემოერთება, ესპანელთა საბოლოო დამარცხება (თურქების დახმარებით), ამერიკაში ფრანგ ჰუგონოტთა კოლონიის დაარსება და სხვ. მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელმა და სახელმწიფოს საქმეებში ჩაუხედავმა მეფემ ადმირალ კოლინის გულმხურვალე ინიციატივებს წაუყრუა. ჰუგონოტებისადმი საფრანგეთის სამეფო კარის მოწვევებითი კეთილგანწყობის სურვილი, რომლის მიხედვითაც შარლ მეცხრის დაცვა – პირმშვიდობის, მაგრამ საკმაოდ ამორალური მარგარიტა უნდა დაექორწინებინათ ჰუგონოტთა ერთ-ერთ მეთაურზე, ნავარელ ჰერცოგ ჰენრიხზე (მოგვიანებით სწორედ იგი გახდა საფრანგეთის მეფე). ეკატერინემ პაპისგან ლოცვა-კურთხევა, რაღა თქმა უნდა, ვერ მიიღო, ამიტომ ჯერისწერაზე ძლივს დაითანხმა კარდინალი შარლ ბურბონი (ალბათ ერთადერთი კათოლიკე ბურბონი). ჰენრიხისა და მარგარიტას შეუდრეკელობა 1572 წლის 18 აგვისტოს იხეიშეს. პარიზში თავი მოიყარეს რჩეულმა ჰუგონოტმა არისტოკრატებმა. გარეგნულად, ჯერჯერობით, ყველა სიმშვიდეს ინარჩუნებდა. სინამდვილეში კათოლიკე პარიზელთა გაღიზიანებას საზღვარი

არ ჰქონდა. მათ გაბოროტებას იწყებდა "პროინციელებისა" და "მწვალებლების" სიამაყე, მათი გამომწვევი საქციელი და საერთოდ მათი არსებობა. ბუნებით მისი წინაპრების მსგავსად ცბიერ დედოფალ ეკატერინე მედიჩისა და მის პირში მეფეს შარლ მეცხრეს ჰუგონოტთა ძლიერების საბოლოო დასამარება გადაეწყვიტათ. მეფის გადაწყვეტილებაზე ეკატერინესთან ერთად, იმოქმედეს მისმა იტალიელმა მრჩეველებმა ალბერ დე გონდიმ და ლუდვიკო დი გონზაგამ, თუმცა ეკატერინეს (და არც ალბათ მეფეს) სულაც არ სურდა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მოწყობა, მათი სურვილი იყო მხოლოდ ჰუგონოტური მოძრაობის მოთავსება განადგურება. 1572 წლის 24 აგვისტოს ღამისთვის გააფრთხილეს პარიზის მამასახლისი, უბნების უფროსები, ჯარისკაცები. ჰუგონოტთა ცნობა ადვილი იყო. მათ ძირითადად შავი სამოსი ეცვათ. მაინც თითოეული სახლი, სადაც ჰუგონოტები ცხოვრობდნენ, თეთრი ჯვრებით მონიშნეს. გაბოროტებული გიზები, თავიანთ მომხრეებთან ერთად, სულმოუთქმელად ელოდნენ შურისძიების ჟამის დადგომას. 24 აგვისტო წმინდა ბართლომეს დღესასწაული იყო. ასე, ღამის ორსა და ოთხ საათს შორის სენ-ჟერმენის სამრეკლოდან ზარის რეკების ხმა გაისმა. მას თითქმის ყველა სხვა ტაძრის ზარი გამოეხმაურა. ეს მასობრივ მკვლელობათა დაწყების ნიშანი იყო. გამომწვევარებულმა ფანატიკოსებმაც არ დაყოვნეს. კათოლიკეები ჰუგონოტებს შინ უგარდებოდნენ, მძინარეებს ხოცავდნენ, შემდეგ მოკლულებს ძარცვავდნენ, მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ერთ-ერთი პირველი ამ სასაკლავო ადმირალი კოლინი ემსხვერპლა. იგი სახლშივე მოკლეს, მისი ცხედარი მესამე სართულის ფანჯრიდან ეზოში გადააგდეს. გამოჩენილი ჰუგონოტი არისტოკრატებიდან დაიღუპნენ ფრანსუა-ჟან-ჟუერე დე ბარბიე, გაიო დე კრიუსელი, ბერნარ როჟე დე კომენი, ბრიუნკელის ჰერონტი, ჟან როჟე დე კომენი, გრაფი ფრანსუა დე ლაროშ-ფუკო, ბარონი არმან დე კლერმონი, ფილოსოფოსი ჰუმანისტი პიერ დე ლარამე და მრავალი სხვა. ჰენრიხ ნავარელმა თავს იმით უშველა, რომ მაშინვე კათოლიკობა მიიღო. ქაოსმა ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ ნებისმიერს შეეძლო მოეკლა ნებისმიერი (მევალე, ცოლი, სიდედრი, ზოგადად, არასასურველი ადამიანი) და მოკლული ჰუგონოტებისთვის "მითევალა". არავინ იცის, დამეული კომპარი რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, მეფეს რომ მისი შეწყვეტა არ ებრძინა. პარიზში იმ დამეს ხუთი ათასამდე კაცი დაიღუპა. აგრესია ჰუგონოტებისადმი მომდევნო დღეებში მთელ საფრანგეთში გაგრძელდა. ხოცვა-ჟლეტას ოცდაათი ათასამდე კაცი ემსხვერპლა. ბართლომეს ღამემ ჰუგონოტთა საბოლოოდ დასამარება ვერ მოახერხა. პირიქით, ჰუგონოტებმა ბრძოლა განაგრძეს და რელიგიური ომები საფრანგეთში კვლავ განახლდა. ბართლომეს ღამის ტრაგედიას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა ევროპის სხვა ქვეყნებში. გაგიჟებულმა და იმ დამეს დატრიალებული ამბები დაგმო რუსეთის მეფემ ივანე მრისხანემ (თუმცა თავის ქვეყანაში, მალიუტა სკურატოვისა და მისი რაზმის მეშვეობით არანაკლებ სისხლიან ორგევებს აწყობდა). ბართლომეს ღამე აისახა მხატვრობაში, ლიტერატურაშიც. ამ ტრაგედიის ამსახველი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ალექსანდრე დიუმას "დედოფალი მარგო" და პროსპერ მერიმეს "შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა". როლანდ ჯალაღანი, "აია"-ს და "შაზისი"-ს აკადემიების წევრი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანია



გასული კვირა არ იყო ღარიბი საფეხბურთო მოვლენებით. ქართულ ფეხბურთში უმწვეველი კრიზისი და ჩვენც მეტწილად უსიამოვნო მოვლენებზე გვიწვევს წერა, რაც, უნდა გამოგეტყუებოდა, არ გვისიამოვნებდა, თუმცა რეალობას ვერ მოვწყდებით, რადგან ჩვენს მთავარ მისიად სიმაღლის თქმა მიგვანია...

სახე იყო ჩვენი ბასაციონალური ჩემპიონატისა...

მოდით, გორის "დილაში" დავიწყოთ და ჯერ პირველ, ბელგრადულ შეხვედრაზე ვთქვათ. "დილაში" თამაშმა ძალიან დაცვიით და ფრთხილი ფეხბურთი. უნა სოსიაშვილი ახალგაზრდა მწვრთნელია. მას აქვს თავისი შეხედულება ფეხბურთზე და არ უყვარს ის, რაც სერბების დედაქალაქში ვნახეთ.

ეს კია, რომ ნებისმიერ შეხვედრაში გუნდი ისე თამაშობს, როგორც მეტოქე აძლევს ამის საშუალებას. "პარტიზანმა" არ გვათამაშა და ჩვენც ვერ ვითამაშეთ. იყო სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მთელი რიგი, მაგრამ მთავარი ერთია - დღევანდელი რეალობით, ჩვენი გუნდები მიეჩვივნენ გასვლით მატჩებში საკუთარ საჯარიმოში გამოკეცვას.

ახე დღეს აღარავინ თამაშობს, სან მარინოსა და ანდორის გუნდების გარდა. ამას წინათ, ზაგრების "დინამოსა" და ლუქსემბურგის "ფოლას" შეხვედრას შევავლე თვალი. სხვა რა მიზეზით უნდა მენახა ეს თამაში, თუ არა ლუქსემბურგის კლუბის ქართულთან შედარების სურვილი. პოდა, ამ "ფოლაში" ერთი ხომ გაიტანა და გასატანი კიდევ ჰქონდა. რაც მთავარია, "ფოლა" უტყველა და ამას საქმის ცოდნით აკეთებდა.

გორის მატჩში კი გამონჩდა ერთი მთავარი მიზეზი მარცხისა - უკლასობა. ათწუთიანი აფეთქებით მატჩს ვერ მოიგებ. ცუდი იყო ფეხბურთელებსა და ქომაგებს

შორის კონფლიქტი, უფრო ცუდი კი - ტოტალური უიმედობის განცდა.

საქართველოს ჩემპიონი სახე იყო ჩვენი გასაცოდავებული ჩემპიონატისა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ თავისი გადაწყვეტილებით კიდევ უფრო დააკნინა. "დილაში" ამ შემადგენლობით თუნდაც ერთ წელიწადს რომ ეთამაშა, სხვა შედეგი იქნებოდა. ახლა კი...

სწორედ ამიტომ მიგვანია ქართული ფეხბურთის არაკეთილმოსურნელ ყველა ის, ვინც "ეჭვთვანი" გუნდების გაკეთებას მიესალმება თავის დროზე ან ხელი შეუწყობს...

მოკლედ, ევროპაზე ქართული გუნდი აღარ დარჩა. ევროპამ წითელი ბარათი აგვინათ. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს - ქართულ ფეხბურთშიც ბევრს აქვს ასანთი წითელი...

ბათუმი ღირსია...

გასულ კვირას მორიგი სკანდალი აგორდა ბათუმის სტადიონთან დაკავშირებით. ეს თემა ამ ბოლო წლებში იმ სერიულს დაემსგავსა, რომელიც არა და არ მთავრდება, არადა, უნდა დამთავრდეს.

ამ სკანდალში ერთხელაც ჩაღრმავებას არ ვაპირებ და არც ის გვინდა, ამაზე დაუსრულებლად ვწეროთ - თემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხუროს! ოღონდ დაიხუროს ისე, როგორც ბათუმს და "დინამოს" ეკადრება.

საიდანაც გინდა, მიუდგე და როგორც გინდა, ისე გააზრომე - ბათუმი ღირსია, ჰქონდეს თანამედროვე სტანდარტების მქონე სტადიონი, რომელიც ევროპული ტურნირის მატჩებს უმასპინძლებს.

ბათუმს ჰქონდა დიდებული სტადიონი. ჯერ კიდევ სულ ბავშვი ვიყავი იქ და უნდა გამოგეტყუებოდა, რომ მივისიბობლე. მერე და მერე ბევრი სტადიონი ვნახე, თუმცა იმგვარი მდებარეობის - ვერც ერთი.

მერე ის სტადიონი დაინგრა და ახალი აღარ აშენებულა. "დინამო" ხიზნად იქცა და დღესაც ასეა. ეს ხიზნობა უნდა დამთავრდეს და რაც შეიძლება - მალე რატომღაც, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ახალი, ჯერაც ვირტუალური სტადიონი თუ არ გაიგება ხოლმე, ხალვათობა ნაღდად არ იქნება...

პირდაპირ უნდა დავწერო - ბათუმის "დინამოს" ყველაზე განმორჩეული, ეროვნული და ფეხბურთის კარგად მცოდნე ქომაგი ჰყავს და მეამაყება, ამ დიდი

აქტის რამდენიმე თავაკაცს "ჩემი მეგობარი" რომ შემოიძლია ვუწოდო - ახალ სტადიონს ისინი ნამდვილად არ მოაწყვენ.

რას იტყვით, ბატონო ილია?

ჩვენი გუნდების წარუმატებელი ევროპულ-ისეა უფრო და უფრო ხშირად გვახსენებს "ხესტაფონს", დღეს მხოლოდ ქალაქდღე რომ არსებობს. ფაქტია - "ხესტაფონი" სჭირდება ქართულ ფეხბურთს. არა მხოლოდ კარგი სტადიონისა და კიდევ უკეთესი ბაზის გამო, არამედ იმიდაც, რომ ამ კლუბს ევროპაზე თავი და საქართველო არასოდეს შეურცხვენია.

ილია კოკაიას ქართულ საფეხბურთო სამყაროში არც მაქებარი აკლია და არც მაძაგებელი. კოკაიას არ მოსწონს დღევანდელი ფედერაციის შეფობა და 16-გუნდიანი ჩემპიონატი. მან გვერდზე დგომა არჩია, გული გაუტყდა და ამ ფედერაციის ყოფნის პირობებში აღარ აპირებს კლუბის დაფინანსებას.

კოკაიამ არაფრისგან შექმნა "ხესტაფონი". მოკლედ დროში მოუტანა გუნდს არაერთი ტიტული და გააცნო ევროპას. მან შექმნა თანამედროვე სტადიონი და საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა. კოკაიას მოსვლამდე ხესტაფონის სტადიონზე ფეხბურთზე შეყვარებული ბიჭები ძროხებს დასდევდნენ, ბალახი რომ არ გაეფუჭებინათ.

ეს ყოველივე ფაქტები და ისიც ცხადია, რომ ილია კოკაიას ჰქონდა და აქვს შეცდომები. ყველაფერი სასწორის ერთ პინაზე რომ შევაგდოთ, მივხვდებით - ქართულ ფეხბურთს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ უარი თქვას ასეთ ინვესტორზე. კოკაიას ფეხბურთით არ უშოგია მილიონები და ბიზნესის რაც შეხება, ხესტაფონში ბევრს ჰქონია ის, თუმცა 12 მილიონი არავის დაუხარჯავს.

ამ დროისთვის, საქმე ასეა - "ხესტაფონი" არც ერთ ლიგაში არ თამაშობს, არადა, უმაღლესი თუ პირველი ლიგის კალენდარს უკვე გაწვრილია. "ხესტაფონის" მფლობელი კვლავ კოკაიაა და სწორედ მან უნდა უთხრას ქომაგს, რას აპირებს - აცდენს წელს თუ აპირებს თუნდაც რაღაც დაბალ რომელიმე ლიგაში თამაშს?

უნდა უთხრას, რადგან ის, როგორც კლუბის მფლობელი, პასუხისმგებელია იმ ხალხის, იმ ქომაგის წინაშე, ვინც 11 წლის

განმავლობაში ყველაზე გვერდით ეღვა "ხესტაფონს", გუნდის ჭირსა თუ ღხინს იზიარებდა.

აქვე დავწერ - ვერ ვეთანხმები ქართული ფეხბურთის სახლის ბინადრების პოზიციას, "ხესტაფონი" რომ მოკვეთეს და ახლა აღარაფერს კითხულობენ. კი ბატონო, დებულება დებულებაა და ის უნდა შესრულდეს, მაგრამ, ჯერ ერთი, რეგლამენტის მრავალგზის უგულბებლყოფით თავად ქმნიცდვენტს, რომ მისი დარღვევა შესაძლებელია და მეორეც: უპირიანი იქნებოდა, ვინმე მაინც ჩასულიყო ხესტაფონში, ქომაგს შეხვედროდა, მისი ჭირ-ვარამი მოესმინა.

მოესმინა, რადგან ქართული ფეხბურთი არც სუპერთასით მთავრდება და არც იქ, ვაკის პატარა შემოღობულში...

რემისიონ ტრამპონამდე

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა ფრანგულ "რემისს" ელაპარაკება. ცხადია, სათამაშო ღობით "დინამო" ფრანგულ გუნდს სჯობს, მაგრამ ეს შესაძლო ტრანსფერი ჩვენთვის სხვა კუთხით იქნება გასახარი და მისასალმებელი.

თუ გარიგება განხორციელდა, ლევან მჭედლიძის შემდეგ დღეისთვის მოქმედი ქართველი ფეხბურთელებიდან კანკავა იქნება მეორე, ვინც ევროპის 5 ტოპ-ჩემპიონატებიდან ერთ-ერთში იასპარავს.

მეორეც: "პოვერტასა" თუ "ილინგვითან" თამაშს "პარი სენ გერმენსა" და "მარსელთან" ჯახი სჯობს. რამდენიმე თამაშს მაღალ დონეზე ჩაატარებ და მაღალი კლასის გუნდის თვალთახედვის არეშიც ექცევი.

გიორგი ლორია კი, ფაქტობრივად, გადასულია "ტრამპონსფორში". შოთა არეულაძეს "რუბინიდან" საბა კვიციანიას წაყვანაც სწავლია, თურმე, ლორიას "ტრამპონში" ძირითადი მეკარის სტატუსი ელის, "ოლიმპიკოსს" კი გვარიანი მეკარეები ჰყავს.

მეკარისა თუ მინდვრის მთამაშის შემთხვევაში საქმე ასეა - უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათამაშო პრაქტიკას. ლორიას სჭირდება პრაქტიკა, რათა საქართველოს ნაკრებს გამოადგეს.

გამოვიდა სერბი კრემლიოვის ნიგნ "ლავრანტი ბერი - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერბი კრემლიოვის წიგნისა "ბერი - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კამკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენლები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

იზმორი

- შორეულ მოგზაურობაში ვის იახლებდი? - ეკითხებიან გამგზავრების წინ მოგზაურს. - ძალიან მახინჯ ქალს, რომ არ დავიღუპო. - ეს როგორ? - ის მახინჯი ქალი რომ ძალიან ლამაზად მომეჩვენება, მივხვდები, რომ უკან დაბრუნების დროა. * * * მოსამართლე: - მოიხადეთ თქვენი სამუდამო პატიმრობა და მერე გადავხედოთ თქვენს საქმეს... იქნებ მართალი ხარ, შე კაცო! * * * - რატომ ეჩხუბე იმ კლიენტს? - ეკითხება რესტორნის დირექტორი მიმტანს, - ხომ იცი, კლიენტი ყოველთვის მართალია? - თქვენზე მითხრა, რქიანიაო და თავი ვერ შევიკავე! * * * - მიხე, შენი ბიჭი სად არის? - ეკითხებიან კახელს. - ბიბლიოთეკაში აგდია! - წიგნები უყვარს? - არა, ბიბლიოთეკარი უყვარს!

Advertisement for 'Izmore' magazine, featuring a portrait of a man and text about subscriptions and contact information.